საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

შაბათი-კვირა, 10-11 აგვისტო. 2019 წ. №161 (8827) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

იმისთანა ჭმინდა საქმეში, რიგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ცუდილებით და ჭირებით ბუტითის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ვის გაასამართლებს ჰააგის ტრიბუნალი?

ჰააგაში, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო (ICC) უკვე მეოთხე წელია, ცდილობს 2008 წლის აგვისტოს ომთან დაკავშირებით კონკრეტული დამნაშავეების გამოვლენას. გამოძიება ეძებს რუსი, ქართველი თუ ოსი ეროვნების კონკრეტულ პირებს, რომლებმაც ომისა და კაცობრიობის წინააღმდეგ დანაშაულები ჩაიდინეს. ეს პროცესი საქართველოში გაჩაღებული მწვავე პოლიტიკური დაპირისპირების ფონზე მიმდინარეობს. „ქართული ოცნების“ ხელისუფლება 2008 წლის მოვლენებში პერმანენტულად ადანაშაულებს „ნაციონალურ მოძრაობას“.

ახდენს თუ არა ზეგავლენას პოლიტიკური ბრძოლები ჰააგის ტრიბუნალში მიმდინარე გამოძიებაზე, რა ეტაპზეა პროცესი და ვინ შეიძლება დაისაჯოს?

იხ. 4 გვ.

„შეგვეშვას ოკუპანტი რუსეთი!“

5

ოქრუაშვილს ყალთა-ბანდობამ არ გაუმართლა

2

„ყველანი ციხეში!“ და ვინ არის უალტერნატივო ალტერნატივა?..

3

ნიკა გვარამიას

2

პროკურატურამ ბრალი წაუყენა

კვირაძეს საკითხავი



დავით წერედიანი და ჭარგოლი

6

ელენე თარხნიშვილი – „ბუდემოშლილი ბულბული“

7

შავი ზღვის უსაფრთხოება ევროატლანტიკური სივრცის უსაფრთხოებაა!

ორფოლოს პოლიგონზე მრავალეროვნული საერთაშორისო სწავლება Agile Spirit 2019 დახურვის ცერემონია გაიმართა, რომელსაც საქართველოს პრემიერ-მინისტრი მამუკა ბახტაძე, პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი, პარლამენტის თავმჯდომარე არჩილ თალაკვაძე, თავდაცვის მინისტრი ლევან იზორია და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები დაესწრნენ.

მთავრობის მეთაურმა განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა დასავლელ პარტნიორებს, რომ ბოლო პერიოდის განმავლობაში ისინი შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოებას მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობენ.

„პირველ რიგში, მინდა, მადლობა გადავუხადო ჩვენს ამერიკელ პარტნიორებს იმ მტკიცე და თანამიმდევრული მხარდაჭერისათვის, რომელსაც ისინი უწევენ ჩვენს ქვეყანას დემოკრატიული განვითარებისა და ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე. ასევე მინდა, განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო სწავლება „მტკიცე სული/Agile Spirit2019“-ის ორგანიზატორებს — საქართველოს თავდაცვის ძალების დასავლეთის სარდლობასა და აშშ-ის ევროპის სარდლობას ასეთი მნიშვნელოვანი წვრთნების ორგანიზებისთვის. საქართველოსთვის ძალიან საპატიოა სწავლების იმ ციკლში მონაწილეობა, რომელსაც აშშ-ის ევროპის სარდლობა აწარმოებს. ეს ჩვენთვის კიდევ ერთი ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ ჩვენი სტრატეგიული პარტნიორები მტკიცე და უმნიშვნელოვანეს მხარდაჭერას უცხადებენ საქართველოს, რასაც ჩვენ დიდად ვაფასებთ. ჩვენმა ქვეყანამ უკვე მეცხრედ უმასპინძლა ერთ-ერთ ყველაზე მასშტაბურ მრავალეროვნულ სამხედრო სწავლებას, რომელიც ამჯერად „მტკიცე სული 2019“-ის სახელით მოეწყო. ასეთი სწავლებები ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან სულ უფრო გვაახლოებს ნატოსთან და ზრდის ალიანსთან ჩვენი ქვეყნის თავსებადობის დონეს. მნიშვნელოვანია, რომ წლევანდელ მრავალეროვნულ სწავლებაში ნატოს წევრი და პარტნიორი 14 ქვეყნის 3000-ზე მეტმა სამხედრომ მიიღო მონაწილეობა, და თითოეული ეს ქვეყანა საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის უპირობო ქომაგია, ისევე როგორც ჩვენს რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის მხარდამჭერი“, — განაცხადა მამუკა ბახტაძემ.

მთავრობის მეთაურის თქმით, ქართველმა ჯარისკაცებმა შესაბამისი პარტნიორობა გაუწიეს თავიანთ კოლეგებს. მიიღეს სათანადო გამოცდილება და მზად არიან მრავალეროვნულ გარემოში ოპერატიული შესაძლებლობების გამოვლენისთვის.

„11 წელი გავიდა უმძიმესი ტრაგედიიდან, როდესაც რუსეთის ფედერაციამ მოახდინა საქართველოს ორი ისტორიული რეგიონის ოკუპაცია. ეს არის ყველაზე მტკივნეული გამოწვევა ჩვენი ქვეყნისთვის. მეგობრებო, ჩვენი პასუხი ამ ყველაზე მტკივნეულ გამოწვევაზე არის მხოლოდ მშვიდობა და საქართველოს განვითარება. ქართველმა ერმა გააკეთა თავისი ცივილიზაციური არჩევანი, რომელიც გულისხმობს საქართველოს სრულ ინტეგრაციას ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში და ეს არის საქართველოს სუვერენული, ჩვენი ერის ცივილიზაციური არჩევანი და ის არ არის მიმართული არავის წინააღმდეგ. ამ სწავლებამ ხელი შეუწყო საქართველოს ამერიკის შეერთებულ შტატებსა და პარტნიორ ქვეყნებს შორის ურთიერთთავსებადობის კიდევ უფრო გაძლიერებას და შავი ზღვის რეგიონში სტაბილური და უსაფრთხო გარემოს შენარჩუნებას“, — განაცხადა მამუკა ბახტაძემ.

ოქრუაშვილს ყალთაბანდობამ არ გაუმართლა

2010 წელს გერმანიაში გაფორმებული დოკუმენტი და ქიბარ ხალვაშის სადავო ხელმოწერა — ექსპერტიზის ბიუროს დასკვნა ცნობილია. დასკვნაში ნათქვამია, რომ გამოსაკვლევი ხელმოწერა შეთანხმებაზე შესრულებულია არა ქიბარ ხალვაშის, არამედ სხვა პირის მიერ. საქმე ეხება დოკუმენტს, რომლის საფუძველზეც ირაკლი ოქრუაშვილი „რუსთავი-2“-ის წილებზე დავობს.

„გამოსაკვლევი ხელმოწერის გამომუშავების ხარისხი საშუალოზე მაღალია. ასოების ზომა დიდი, გაქანება საშუალო და დიდი, უმნიშვნელოდ მარჯვნივ დახრილი, დაწოლის ძალა საშუალო დიფერენცირებული, ხელმოწერის ფუძის ხაზის ფორმა სწორხაზოვანი, მიმართულება აღმავალი.

აღნიშნული ხელმოწერის გამოკვლევითა და შედარებით ქიბარ ხალვაშის ხელმოწერებთან დადგენილია განსხვავებები ზომასა და გაქანებაში და შემდეგი ვარიანტის კერძო ნიშნებში:

ასო „შ“-ს შესრულებისას გამოსაკვლევი ნიმუშებისაგან განსხვავებით გამარტივებულია მესამე ელემენტი.

— მოძრაობის ფორმა ასო „ქ“-ს მეორე ელემენტის საწყისი ნაწილის შესრულებისას გამოსაკვლევში ნიმუშებისაგან განსხვავებით უკუქცევით-სწორხაზოვანი.

— მოძრაობის ფორმა და მიმართულება ასო „ქ“-ს პირველი ელემენტის დამამთავრებელი ნაწილის შესრულებისას გამოსაკვლევში ნიმუშებისაგან განსხვავებით კუთხოვანი მიმართული მარცხნივ,“ — ნათქვამია დოკუმენტში.

შეგახსენებთ, „გამარჯვებული საქართველოს“ ლიდერის ირაკლი ოქრუაშვილის მტკიცებით, მასა და ქიბარ ხალვაშს შორის ბერლინში 2010 წელს გაფორმდა შეთანხმება, რომლის მიხედვითაც, ხალვაში „რუსთავი-2“-ის მხოლოდ ფორმალური მმართველი უნდა ყოფილიყო და შეთანხმებაზე ხელმოწერა ექსპერტიზის სამი დასკვნითაა დადასტურებული. ამასთან, ქიბარ ხალვაშის ადვოკატი და „რუსთავი-2“-ის ახალი გენერალური დირექტორი პაატა სალია ამტკიცებდა, რომ დოკუმენტები, რაზეც ირაკლი ოქრუაშვილი და მისი ინტერესების დამცველები საუბრობენ, გაყალბებულია.

შუმი ნაციონალი ოქრუაშვილი, როგორც ჩანს, ჩვეულებას არ ღალატობს და ყალთაბანდობის გზას ადგას.

გვარამია თავს იმართლებს

ასეთი თეთრი ძაფებით კერვაც უკვე სირცხვილია უბრალოდ, — ასე გამოეხმაურა „რუსთავი-2“-ის ყოფილი გენერალური დირექტორი ნიკა გვარამია პროკურატურის მიერ ბრალის წაყენების საკითხს.

„ჯერ ერთი, ბრალს თუ მიყენებ ამ გარემოებაზე, დაკითხვაზე ხომ უნდა მკითხო მაინც. არ უკითხავთ საერთოდ, თორემ ავუხსნიდი, მაგრამ ახსნაც არ სჭირდება. „ინტერმედიიდან“ ყველა დოკუმენტია ამოღებული და ამ დოკუმენტების მიხედვით, სესხის ხელშეკრულება აქვს „ინტერმედიას“ ჩემთან, რადგან ვერ ვიხდიდით ხელფასებს და ეს მთელმა „რუსთავი-2“-მა იცის. მე გავყიდე სახლი, მივეცი მათ ფული და დამიბრუნეს ბინებით. ასეთი თეთრი ძაფებით კერვაც არ შეიძლება. გპირდებით, პასუხი იქნება ადეკვატური“, — განაცხადა ნიკა გვარამიამ.

ნიკა გვარამიას პროკურატურამ ბრალი წაუყენა

„რუსთავი-2“-ის ყოფილ გენერალურ დირექტორს ნიკა გვარამიას პროკურატურამ ბრალი წაუყენა, — ამის შესახებ პროკურორმა ამირან გიუაშვილმა გუშინ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

„როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, 2019 წლის 20 ივლისს საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ დაიწყო გამოძიება „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2-ის“ კანონიერი ინტერესის საწინააღმდეგოდ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების, დიდი ოდენობით თანხების სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით მითვისების და ქონების მოჩვენებითი ან/და თვალთმაქცური გარიგების გზით გადამალვის ფაქტზე“, — აღნიშნა პროკურორმა.

„საქმეზე გამოძიების დაწყებას საფუძვლად დაედო, „სამაუწყებლო კომპანია რუსთავის 2-ის“ 9%-იანი წილის ყოფილი მფლობელის ნინო ნიჟარაძის ადვოკატის განცხადება ტელეკომპანიის ხელმძღვანელების მხრიდან შესაძლო დანაშაულის ჩადენის თაობაზე.

მათივე ინფორმაციით, ასევე, სისხლის სამართლის საქმეს დაერთო „რუსთავი-2“-ის ამჟამინდელი გენერალური დირექტორის პაატა სალიას განცხადება შესაძლო დანაშაულის ჩადენის თაობაზე, რამაც სავარაუდოდ დიდი ოდენობით ზიანი მიაყენა სამაუწყებლო კომპანიას.

მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინებით გვსურს, გაცნობოთ, რომ სისხლის სამართლის საქმეზე მიმდინარე გამოძიების ფარგლებში მოპოვებული მტკიცებულებების საფუძველზე მიღებულია შემაჯამებელი გადაწყვეტილება.

გამოტანილია დადგენილება ნიკა გვარამიას ბრალდების შესახებ, საქართველოს სსკ-ის 220-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის, რაც გულისხმობს საწარმოში ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გამოყენებას ამ ორგანიზაციის კა-

„ყველანი ციხეში!“ და ვინ არის უალტერნატივო ალტერნატივა?..

აგერ უკვე საცაა 7 წელიწადი გახდება მას შემდეგ, რაც ქართველმა ხალხმა ბიძინა ივანიშვილის წინამძღოლობით მიშნაცების ფაშისტურ-სადისტური, ქართველმოძულე ხელისუფლება დაამხო. დიახ, დაამხო და არა შეცვალა, რადგანაც მიშნაცების 9-წლიანი კოშმარი რეჟიმი იყო და არა ხელისუფლება. რეჟიმები კი რევოლუციების გზით ემხობა და არა იცვლება — მას შემდეგ, რაც ე.წ. ციხის კადრებისა თუ სამეგრელოს ტყეებში აღმოჩენილი ვიდეოების შინაარსით აღშფოთებულ-შეძრწუნებულმა მოსახლეობამ მთელი ქვეყნის მაშტაბით ქუჩებში ერთბაშად იხუვლა, ყველასთვის და პირველ რიგში ნაციებისთვის ცხადი გახდა, რომ მათი სისხლიანი რეჟიმის დასასრული მხოლოდ დროის ამბავი იყო. და მართლაც — 2012 წლის 1 ოქტომბრი, მართალია უსისხლოს, მაგრამ მაინც რევოლუციას უფრო ჰგავდა, ვიდრე არჩევნებს?..

საზოგადოებას შევახსენებ არჩევნების წინა თუ შემდგომ პირველ დღეებში, როგორ შეძვრნენ სოროებში სხვადასხვა წონისა თუ კალიბრის მიშნაცი ვირთხები — ხატოვნად თუ ვიტყვით რევოლუციის ტოლფასი არჩევნების, შემდეგ ნაციები უკვე პოლიტიკურ საფლავში იწვნენ და იმის მაგივრად, რომ მიწა მიეყარათ და ერთხელ და სამუდამოდ გაეშვათ პოლიტიკურ მოუსავლეთში, ქოცებმა ნაციების კოჰაბიტაციად წოდებული რეანიმაციის პროცესი წამოიწყეს და სწორედ ამ ჰუმანური აქტის“ გამოა, რაც დღეს გვჭირს — თითქმის ამდენივე, ლამის 7 წელიწადია, რაც დასავლეთის მიერ მთავარ ოპოზიციურ პოლიტიკურ ძალად შერაცხილ „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ ე.წ. არასამთავრობო მესამე სექტორთან და „რუსთავი-2“-ის სიცრუის მანქანასთან ალიანსში, წუთითაც არ შეუწყვეტია ქართველი ხალხის მიერ არჩეული „ქართული ოცნების“ ხელისუფლების რევოლუციური გზით დამხობის მცდელობები!..

მიუხედავად იმისა, რომ „ქართულ ოცნებას“ არც ერთი წინასაარჩევნო დაპირება არ შეუსრულებია (გარდა ერთისა, ქუჩებში აღარ ხვრეტენ და საპატიმროებში აღარ აუპატიურებენ ხალხს), ანუ ხატოვნად თუ ვიტყვით, ქართველები მალევე მივხვდით, რომ „ქართული ოცნება“ სულაც არ ყოფილა ქართველთა ოცნება, ქოცების რეიტინგმა მნიშვნელოვნად კი დაიწია, მაგრამ არა ნაციების სასარგებლოდ — 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგებმა ცხადყო, რომ არჩევნების გზით მათ ხელისუფლებაში დაბრუნება არ უწერიათ და ამიტომ ნაცების ანტისახელმწიფოებრივმა ქმედებებმა ისტერიული, მე ვიტყოდი, სასოწარკვეთილი ხასიათი შეიძინა.

ქვეყანაში არასტაბილური, რევოლუციური სიტუაციის შესაქმნელად ნაცები ყველაფერს კადრულობენ: ე.წ. შვილებმოკლული მამების თემა; ნარკომანბარიგების საპროტესტო აქციები; ე.წ. თბილისი პრაიდი; სალომე ზურაბიშვილის ირგვლივ ატეხილი ისტერია; კონფლიქტის ზონაში ე.წ. შიშველი უკანალების აქცია; „რუსთავი-2“-ის თემა; „თიბისი ბანკი“ და ა.შ. ეს არის ალბათ არასრული ჩამონათვალი იმ წვრილმანმსხვილმანი თემებისა, რომელთა პედალირებით ცდილობდნენ ქვეყანაში სიტუაციის დაძაბვას და რასაც მოჰყვა ყოველივე ზემორე თქმულის გვირგვინი, ე.წ. „გავრილოვის ღამედ“ მონათლული ანტისაოკუპაციო, რუსოფობიური მოძრაობის დაწყება, გიორგი გაბუნიას ამაზრზენი ბილწსიტყვაობის თანხლებით, რასაც მოჰყვა 20-21 ივნისის ტრაგედია, მართლაც უკიდურესად რომ დაძაბა სიტუაცია, რომელსაც, რომ იტყვიან ხელების ფშვნეტით შეჰყურებდა ე.წ. გაერთიანებული ოპოზიცია და რომ არა გიორგი გახარიას სიმტკიცე, ღმერთმა უწყის, დღეს სად ვიქნებოდით. თუმცა არა, უღმერთოდაც კარგად გვეცოდინებოდა, რადგანაც ხელისუფლების ძალადობრივი, სახელმწიფო გადატრიალების გზით დამხობის „კინო“ საქართველოს უახლესი ისტორიის მანძილზე არა ერთხელ გვინახავს...

აქედან გამომდინარე, დარწმუნებული ვარ, რომ მოცემულ დროსა და სივრცეში ქართველი საზოგადოების აბსოლუტური უმრავლესობა სრულად უჭერს მხარს ქოცების მიერ წარმოებულ „პოლიტიკურ რეპრესიებს“ — დავით კირკიტაძე, ირაკლი ოქრუაშვილი, ნიკანორ მელია, ზვიად კუპრავა, ვანო მერაბიშვილი, სადისტი ძმები ახალაიები და ა.შ. ხომ სხედან „ვირის აბანოში“ და, როგორც მათი შიზოიდი ბელადი მიშა სააკაშვილი გაჰყვიროდა თავის დროზე, ყველანი ციხეში, გიგი უგულავა, გიორგი ბარამიძე, გიგა ბოკერია, ნიკა გვარამია და თუ ვინმე გამომრჩა — ყველანი, ყველანი, ყველანი ციხეში!

თუმცა ამ კონკრეტულ ვითარებაში ხელისუფლების მხარდაჭერა, არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს ქოცებისათვის მომავალ არჩევნებში მხარდაჭერას, რადგანაც ამ 7 წლის მანძილზე ივანიშვილის ხელისუფლებამ გაუმაძღრობის, უნამუსობის რეკორდი მოხსნა!

ქართველ საზოგადოებას განსაკუთრებით მწარედ გვახსოვს სალომე ზურაბიშვილის არჩევნების მეორე ტურის წინ ბიძინა ივანიშვილის ნიანგის ცრემლები, რომ თურმე საზოგადოებაში ჭარბი ნდობით აღარ სარგებლობს.

ზემოთ ვთქვით, რომ ქოცების რეიტინგის დაცემა არ ნიშნავს ნაცების რეიტინგის ზრდას. იმაზეც ვთანხმდებით, რომ ნაცების მთავარი ოპოზიციონერობა დასავლეთიდან (წაიკითხე, აშშ) შემოგდებული მითია ისევე, როგორც ნაცების მიერ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში ნაჩვენები 40%. აქედან გამომდინარე და, მით უმეტეს ბარიერის არარსებობის შემთხვევაში, ნაცები მაქსიმუმ ერთნიშნა პროცენტს აჩვენებენ?!

(მოდით აქვე იმაზეც შევთანხმდეთ, რომ როდესაც ნაცებს ვახსენებთ, მათთან ერთად ე.წ. გაერთიანებულ ოპოზიციასაც ვგულისხმობთ)

თავის მხრივ, არც ქოცებს აქვთ საქმე კარგად, რადგანაც 2020 წლის არჩევნების დროს აღარ იმუშავებს „მიშა მოდის“ თემა და შესაბამისად საკონსტიტუციო კი არა, პარლამენტში უბრალო უმრავლესობითაც თუ შევლენ, რაც იმას ნიშნავს, რომ კოალიციურ მთავრობაზე მოგვიწევს ფიქრი და აქედან ბუნებრივად იბადება მთავარი კითხვა — მაშვინ, რომელი პოლიტიკური ძალა შეიძლება იყოს ის, ვინც 2020 წლის არჩევნებში რეალურ კონკურენციას გაუწევს ქოცებს და შემდეგ მათთან ერთად შექმნის აღმასრულებელი ხელისუფლების მინისტრთა კაბინეტს?

თუკი არსებულ პოლიტიკურ ველს ობიექტური და არა სუბიექტური, ჩასაფრებული თვალით შევხედავთ, დავინახავთ, რომ „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ სახით ასეთი პოლიტიკური პარტია არსებობს!

ეს რომ ასეა, ამას ციფრებიც ღაღადებენ: საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის წინ სწორედ ამ პარტიის დაძახილზე 100 ათასი კაცი გამოვიდა თავისუფლების მოედანზე!

იხ. 8 გვ.

ნონიერი ინტერესის საწინააღმდეგოდ, სხვისთვის გამორჩენის მიღების მიზნით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

კერძოდ, გამოძიებით დადგენილია, რომ ნიკა გვარამიას მიერ საწარმოს ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებით „სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი-2“-მა ვერ მიიღო 6 763 510 ლარი, რითაც საწარმოს დიდი ოდენობით ზიანი მიადგა.

ნიკა გვარამიას მიერ შესაძლო ჩადენილი ქმედება გამოიხატა შემდეგში: 2012 წლის ნოემბრიდან ნიკა გვარამია დანიშნული იყო შ.პ.ს. „სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი-2“-ის დირექტორად, ხოლო 2014 წლის სექტემბრიდან — ამავე კომპანიის გენერალურ დირექტორად.

საწარმოს წესდების თანახმად, „სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი-2“-ს მესამე პირებთან ურთიერთობაში წარმოადგენს გენერალური დირექტორი, რომელიც ვალდებულია, კეთილსინდისიერად და კომპანიის ინტერესების დაცვით უზრუნველყოს მისი ყოველდღიური მართვა და საქმიანობა, იმოქმედოს კომპანიის და პარტნიორების ბიზნეს ინტერესებით, უზრუნველყოს წესდების უპირობო და კეთილსინდისიერი შესრულება. ასევე, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საწარმოს ხელმძღვანელი კომპანიის საქმეებს უნდა გაუძღვეს კეთილსინდისიერად და უნდა მოქმედებდეს იმ რწმენით, რომ მისი ეს მოქმედება ყველაზე ხელსაყრელია კომპანიისთვის.

მიუხედავად ზემოაღნიშნული ვალდებულებებისა, ნიკა გვარამია ბოროტად იყენებდა თავის ხელმძღვანელობით და წარმომადგენლობით უფლებამოსილებას, არ მოქმედებდა კეთილსინდისიერად სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი-2“-ის კანონიერი ინტერესებიდან გამომდინარე.

კერძოდ, 2015 წლის 16 იანვარს შ.პ.ს, „სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი-2“-ის სახელით ნიკა გვარამიამ ხელშეკრულება გააფორმა შპს „ინტერ მედია პლიუსთან“, რომლის მფლობელებიც არიან მისი მეგობრები — ზ.გ. და კ.ჯ., ხოლო დირექტორი, „სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი-2“-ის ყოფილი ფინანსური დირექტორი — ზ.ი.

ხელშეკრულების თანახმად, „სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი-2“-მა „ინტერ მედია პლიუსს“ დაუთმო საკუთარი არხების („რუსთავი-2“-ის, „ახალი არხის“ (იგივე „კომედი არხის“) და („მარაოს“) ეთერში კომერციული რეკლამის განთავსების უფლება.

მხარეთა შეთანხმებით, კომერციული რეკლამის განთავსების უფლების დათმობისათვის ანაზღაურება, ყოველთვიურად, „ინტერ მედია პლიუსის“ მიერ ფაქტობრივად მოხმარებული კომერციული სარეკლამო დროის ოდენობის მიუხედავად, წინასწარ შეთანხმებული ოდენობით უნდა განხორციელებულიყო.

ნიკა გვარამია მოქმედებდა რა შპს „სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი-2“-ის კანონიერი ინტერესების საწინააღმდეგოდ და მისი მეგობრების კუთვნილი კომპანიის — შ.პ.ს. „ინტერ მედია პლიუსისათვის“ გამორჩენის მისაღებად, ხელშეკრულებით განსაზღვრულ პერიოდში, კომერციული რეკლამის განთავსების უფლების დათმობისათვის ანაზღაურების შესახებ შ.პ.ს „ინტერ მედია პლიუსთან“ გაფორმებული ყოველთვიური შეთანხმებებით, განზრახ არ მოითხოვა ტელეკომპანიის კუთვნილი 6 763 510 ლარი, რითაც მის მეგობრებს მისცა შესაძლებლობა, შპს „სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი-2“-ზე რეკლამის განთავსების სანაცვლოდ მიღებული დიდი ოდენობით თანხების აკუმულირება მოეხდინათ საკუთარი კომპანიის ანგარიშზე და არ გადაეხადათ ტელეკომპანიისთვის.

შედეგად, 2015 წლის საანგარიშო პერიოდში შ.პ.ს. „სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი-2“-ის მიერ მიღებულმა დეკლარირებულმა ზარალმა 7 377 230 ლარი შეადგინა, ამავე პერიოდში, შ.პ.ს „ინტერ მედია პლიუსის“ დეკლარირებულმა მოგებამ კი — 8 690 664 ლარი.

ასევე, გაცნობებთ, რომ მიმდინარეობს აქტიური საგამოძიებო მოქმედებები „რუსთავი-2“-ზე რეკლამის განსათავსებლად „ინტერ მედია პლიუსის“ კონტრაქტორი კომპანიებიდან მიღებული დიდი ოდენობით თანხების ხარჯვის კანონიერების შესწავლის მიზნით.

ამ ეტაპზე დადგენილია, რომ კომპანიამ 2016 წლის დეკემბრის ნასყიდობის ხელშეკრულებით, (შპს „ინტერ მედია პლიუსს“ ამ ხელშეკრულების გაფორმებისას წარმოადგენდა „რუსთავი-2“-ის იურისტი დიმიტრი საძაგლიშვილი) საკუთრებაში მიიღო ქ.თბილისში, ვაკის ერთ-ერთ პრესტიჟულ უბანში მდებარე 565 226 ლარის ღირებულების 2 საცხოვრებელი ბინა, საერთო ფართით, 240 კვ.მ. 2017 წლის მარტში, ორივე ბინა საკუთრებაში გადაეცა „რუსთავის-2“-ის იმდროინდელ გენერალურ დირექტორს ნიკა გვარამიას, რომელმაც იმავე წლის ივლისში და სექტემბერში საცხოვრებელი ბინების რეალიზაცია მოახდინა — საერთო ჯამში 602 521 ლარად.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, გამოძიება ასევე აქტიურად სწავლობს „ინტერ მედია პლიუსის“ და „სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი-2“-ის სხვა კონტრაქტორი კომპანიების კუთვნილი დიდი ოდენობით თანხების ხარჯვის კანონიერებას, რის შესახებაც საზოგადოებას ეცნობება დამატებით.

ნიკა გვარამია გუშინ დაბარებული იყო საქართველოს გენერალურ პროკურატურაში ბრალდების შესახებ დადგენილების წარდგენის მიზნით. „ბრალის წარდგენის შემდეგ საქართველოს გენერალური პროკურატურა სასამართლოს მიმართავს აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შუამდგომლობით“, — განაცხადეს პროკურატურაში.

(პირველი გვერდიდან)

რას ეყრდნობა და როგორ მიდის პროცესი?

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოში სრულიად კონფიდენციალურად მიმდინარეობს პროცესი, რომელიც 2008 წლის 1 ივლისიდან 10 ოქტომბრამდე ჩადენილ სავარაუდო უმძიმეს დანაშაულებს იძიებს. პროცესს პროკურორის ოფისი წარმართავს.

გამოძიების სამიზნეა: **გენოციდი, კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული, ომის დანაშაული და აგრესიის დანაშაული;** მაგალითად:

- ეთნიკური, რასობრივი ან რელიგიური ჯგუფის მთლიანი ან ნაწილობრივი განადგურება, წინასწარი განზრახვით;
- მშვიდობიან მოსახლეობაზე ფართომასშტაბიანი ან სისტემატური თავდასხმები: მკვლელობა, გაუპატიურება, თავისუფლების აღკვეთა, მონობა, დეპორტაცია თუ სხვა;
- სამოქალაქო პირების ან სამხედრო ტყვეების დახოცვა, განზრახ შეტევა საავადმყოფოებზე, ისტორიულ ძეგლებზე თუ რელიგიური მნიშვნელობის შენობებზე;
- სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე ძალის გამოყენებით შეჭრა, სამხედრო ოკუპაცია და ანექსია — პორტისა თუ სანაპირო ზოლის ბლოკადით.

ჰაგის ტრიბუნალის გამოძიების შედეგად შეიძლება დაისაჯოს ყველა, ვინც ომის დროს გადაწყვეტილებების მიმღები იყო და განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრებოდა ამა თუ იმ ქმედების დროს.

როგორც „საერთაშორისო სამართლიანობის“ (Justice International) ხელმძღვანელი, ნიკა ჯეირანაშვილი ეუბნება „რადიო თავისუფლებას“:, **„ჰაგის ტრიბუნალის წინაშე იმუნიტეტით არავინ სარგებლობს“** და განსასჯელის სკამზე შეიძლება მოხვდეს პრეზიდენტი, მინისტრი, დეპუტატი, სამხედრო პირი თუ ჟურნალისტი. მაგრამ როდის მოხდება ეს, არავინ იცის.

ჰაგაში მოქმედი ორგანიზაციის ხელმძღვანელი, რომელიც მჭიდროდ თანამშრომლობს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთან, ამ ეტაპისთვის პროცესის განვითარების რამდენიმე შესაძლო ვარიანტზე ლაპარაკობს:

- **სასამართლო გამოავლენს კონკრეტულ დამნაშავეებს და გასცემს ორდერებს კონკრეტული ფიზიკური პირების დასაპატიმრებლად;**
- **სასამართლომ უკვე დაასრულა გამოძიება, მაგრამ შედეგებს ჯერ არ ახმოვანებს, რადგან არ უნდა სავარაუდო დამნაშავეების წინასწარი ინფორმირება (ხელსაყრელ სიტუაციაში მათი დაკავების მიზნით);**
- **სასამართლო შეწყვეტს საქმეს არასაკმარისი მტკიცებულებების გამო.**

იმის გამო, რომ რუსეთი არ არის რომის სტატუტის ხელმომწერთა შორის და შესაბამისად, არ აღიარებს ჰაგის ტრიბუნალის იურისდიქციას, ნიკა ჯეირანაშვილი ლაპარაკობს საფრთხეზე, რომ შესაძლოა, საბოლოოდ დაისაჯონ მხოლოდ ქართველები და ოსები, ანდა მხოლოდ ქართველები, დანაშაულის გამოვლენის შემთხვევაში.

„თუკი დავუშვებთ, რომ შესაძლოა გამოძიების შედეგად მხოლოდ საქართველოს მოქალაქეები დაისაჯონ, საქმის დახურვა მაინცდამაინც ცუდი ვარიანტი არ

იქნება ჩვენთვის“, — ეუბნება „რადიო თავისუფლებას“ ნიკა ჯეირანაშვილი.

თუმცა რომის სტატუტთან რუსეთის გამიჯვნის მიუხედავად, ჰაგის ტრიბუნალს რჩება სამოქმედო ბერკეტები დამნაშავეთა დასასჯელად:

- „ცხადია, რუსეთი სავარაუდო დამნაშავეს არ გადასცემს ჰაგის ტრიბუნალს“;
- „ასეთ შემთხვევაში დამნაშავის დაკავება შესაძლებელი იქნება რომის სტატუტის ხელმომწერი რომელიმე ქვეყნის ტერიტორიაზე“;
- „რომის სტატუტის ხელმომწერ ქვეყნებს აქვთ ვალდებულება, რომ ჰაგის ტრიბუნალს გადასცენ მათ ტერიტორიაზე დაკავებული სავარაუდო დამნაშავე“.

ნიკა ჯეირანაშვილი ამბობს, რომ ჰაგის ტრიბუნალს **„არ აინტერესებს, ვინ დაიწყო ომი“** და ყურადღება უკვე დაწყებული ომის პირობებში ჩადენილ სავარაუდო დანაშაულებზე მახვილდება.

მიუხედავად იმისა, რომ იურიდიულ ჩარჩოებში არ ჯდება, ჯეირანაშვილის თქმით, სასამართლო დიდ ყურადღებას აქცევს საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს და პოლიტიკოსთა „ბრალდებების გადაძახილებს“ აგვისტოს ომთან დაკავშირებით.

ჰაგა და აგვისტოს ომი საქართველოს შიდა პოლიტიკაში

7 აგვისტოს ოპონენტებმა დილიდანვე გაუხსენეს სალომე ზურაბიშვილს 2014 წელს გამოქვეყნებული ფეისბუქსტატუსი. საქართველოს ამჟამინდელი პრეზიდენტი წერს, რომ ყოფილმა პრეზიდენტმა რუსეთი თავად გამოიწვია:

„სააკაშვილმა ცხინვალზე, ანუ თავის თანამემამულეებზე, საქართველოს მოქალაქეებზე — ცეცხლი გახსნა და რაკეტები დაუშინა .... გამოიწვია მოსალოდნელი (და წინასწარ გამოცხადებული) რუსეთის სამხედრო რეაქცია“.

ომის დაწყებაში საქართველოს დადანაშაულება ერთ-ერთ მთავარ ტვირთად იქცა „ქართული ოცნების“ მხარდაჭერილი კანდიდატისთვის, სალომე ზურაბიშვილისთვის, 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე.

მის წინააღმდეგ ამოქმედდა ასევე სხვადასხვა დროს გაკეთებული განცხადებები და აგვისტოს ომთან დაკავშირებით მის მიერ დაწერილი წიგნის შინაარსიც. მედიამ ომის თემაზე შეკითხვებით არ მოასვენა საპრეზიდენტო კანდიდატი და ამომრჩეველთა ნაწილის აღშფოთების ფონზე ზურაბიშვილმა ერთ დღესაც თქვა, რომ „ცხადია, რუსეთმა დაიწყო ომი“.

ხმაური ატყდა სალომე ზურაბიშვილის წიგნის შინაარსის ჰაგასთან კავშირის გამოც. თუმცა ეს შეეხება მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს და არა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს, სადაც ამჟამად მიმდინარეობს გამოძიების პროცესი.

აგვისტოს ომის ჭრილში ოპონენტებს ხშირად ადანაშაულებენ „ქართული ოცნების“ მაღალი თუ უმაღლესი რანგის წარმომადგენლები და მათ შორის — პარტიის თავმჯდომარე ბიძინა ივანიშვილიც.

ასეთი აქცენტები დაისვა მაგალითად, 17 ივლისსაც, ბათუმში, ე.წ. „გავრილოვის ღამის“ შემდეგ გაკეთებულ მის პირველ განცხადებებში.

- „ნაციონალური მოძრაობა“ შემოუძღვა რუსის ჯარს“;
- „რომ არა ამათი („ნაციონალური მოძრაობის“) დაუდევრობა, ამათი ღალატი, რუსის ჯარი ვერ შემოვიდოდა საქართველოში 2008 წელს“;
- „მათ მოახერხეს, ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ მომხდარიყო ოკუპაცია“;
- „ჩვენ ყველანი „ქართული ოცნებიდან“ ვიყენებთ ტერმინს, რომ საქართველოს 20% ოკუპირებულია...“
- „... მაგრამ ჩვენ ჩვენები უნდა გავასამართლოთ“.

აგვისტოს ომში „ნაციონალური მოძრაობის“ დადანაშაულებას მიუძღვნა თავისი განცხადებები პრემიერმა ბახტაძემ და ფეისბუქსტატუსი — საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა გია ვოლსკიმაც.

6 აგვისტოს გამოქვეყნებულ 9-პუნქტიან ტექსტში ვოლსკი წერს, რომ **„სწორედ სააკაშვილის რეჟიმმა მოახდინა პარტნიორი ქვეყნების მიერ დამტკიცებული სამშვიდობო გეგმის განზრახ ჩაშლა“.**

„ქართული ოცნების“ ხელისუფლების წარმომადგენელთა განცხადებებს 7 აგვისტოს მწვავედ გამოეხმაურა ოპოზიცია. გია ვოლსკის სტატუსის კვალდაკვალ სპეციალური განცხადება გამოაქვეყნა „ევროპულმა საქართველომ“. ხოლო საგანგებო ბრიფინგზე ამ პარტიის წარმომადგენელმა გიგა ბოკერიამ აღნიშნა, რომ საქართველოს ხელისუფლებამ პოლიტიკურ ოპონენტებთან ანგარიშსწორების მორიგი სამარცხვინო მაგალითი აჩვენა.

„მათ ეს დღე გამოიყენეს არა ამ ხსოვნის პატივისცემისთვის, არა ჩვენი საერთო მტრის წინააღმდეგ ერთიანი გზავნილისთვის, არამედ საკუთარი პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ ჩვენი ქვეყნის შიგნით ბინძური ცილისწამების უზნეო კამპანიისთვის, პირდაპირ რუსული პროპაგანდის გამოყენებით მტკნარი სიცრუით და ამაზრზენი სპეკულაციებით“, - განაცხადა გიგა ბოკერიამ.

აგვისტოს ომს უპრეცედენტო გმირობის გამოვლინებად აფასებს საქართველოს ექს-პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი 7 აგვისტოს გავრცელებულ ვიდეომიმართვაში.. ის ამბობს, 2008 წელს, გმირების მიერ გადარჩენილ საქართველოში „2012 წელს პუტინმა მოიყვანა და მისი მხარდაჭერით მოვიდა ივანიშვილი“ და ეს არის „პუტინის ომის გაგრძელება“ საქართველოს წინააღმდეგ.

სააკაშვილი თავის განცხადებაში ჰაგის ტრიბუნალსაც ახსენებს. ის ამბობს, **რომ ივანიშვილის ხელისუფლება აქტიურობს გამოძიების ფარგლებში საქართველოს წარმომადგენლების დასასჯელად.**

- **„ივანიშვილი და მისი მინისტრი წულუკიანი და მათი დამქაშები უკვე რამდენიმე წელიწადია მასობრივად ლობირებენ ჰაგის საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოში, რათა ქართველი სამხედროები გასამართლდნენ ჩვენი თავდაცვითი ომის გამო, აგრესიისადმი წინააღმდეგობის გაწევის გამო“;**
- **„ისინი ამას ამ წუთებშიც, როცა ამას ვლაპარაკობ, აგრძელებენ ამ ძალისხმევას თავიანთი ლობისტების და თავიანთი შიდა გამოძიების ორგანოების მეშვეობით“.**

როგორც „საერთაშორისო სამართლიანობის“ ხელმძღვანელმა ნიკა ჯეირანაშვილმა უთხრა „რადიო თავისუფლებას“, განსაკუთრებით „ქართული ოცნების“ წარმომადგენლების მიერ გახმოვანებულმა ბრალდებებმა ჰაგის სასამართლოში ბოლო წლებში საკმაოდ დიდი დაბნეულობა გამოიწვია და გარკვეულწილად გამოძიების პროცესიც შეაფერხა.

„დაგვჭირდა, მათ შორის — პროკურორის ოფისისთვისაც, ახსნა-განმარტებების გაკეთება ქართულ პოლიტიკურ პროცესებთან დაკავშირებით, თუ რას ნიშნავს ეს ბრალდებები... ვუხსნიდით საზოგადოებასაც... თუნდაც როცა ჰაგიდან ჩამოსული გამომძიებლები საქართველოში ატარებდნენ გამოკითხვის პროცესს, გარკვეულწილად შეფერხდა ეს პროცესი — გამოსაკითხი ადამიანები ვეღარ იგებდნენ, რა პროცესში მონაწილეობდნენ და ხომ არ გამოიწვევდა მათი ჩვენებები ქართველი სამხედროების დაპატიმრებას“, — უთხრა „რადიო თავისუფლებას“ ნიკა ჯეირანაშვილმა.

ლეილა კუნჭულია

„ცხოვრება მავთულხლართებთან ერთად“

რუსეთ-საქართველოს ომის მე-11 წლისთავთან დაკავშირებით რუმინეთში, ბუქარესტის ეროვნული თეატრის წინ, ღია ცის ქვეშ მოეწყო 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის მე -11 წლისთავისადმი მიძღვნილი ფოტოგამოფენა. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, აგვისტოს ომთან დაკავშირებით, ნორვეგიაში საქართველოს საელჩოში რუსეთ-საქართველოს ომის ამსახველი ფოტოგამოფენა და მოკლე დოკუმენტური ფილმის „ცხოვრება მავთულხლართებთან ერთად“ ჩვენება გაიმართა.

ღონისძიებას ნორვეგიაში აკრედიტებული დიპლომატიური მისიებისა და ნორვეგიის სამეფოს საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები ესწრებოდნენ. ნიდერლანდებში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა გიორგი შარვაშიძემ ჰაგის საერთაშორისო სამართლის აკადემიის საზაფხულო კურსების სტუდენტებს უმასპინძლა. 7 აგვისტოს, ლიეპაიას წმინდა სამების ტაძარში, ლატვიაში საქართველოს საელჩოს და ლიეპაიას მერიის თანაორგანიზებით, 1989 წლის 9 აპრილის ტრაგიკული მოვლენებისა და რუსეთის მიერ 2008 წლის აგვისტოში საქართველო-რუსეთის მე-11 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა გაიხსნა. ღონისძიება ფონდის „ვია კულტურის“ და სეიმას წევრის დაცე ბლუკეს ინიციატივით გაიმართა. გამოფენა 2019 წლის 7 სექტემბრამდე გაგრძელდება. ასევე, 8 აგვისტოს ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ალექსანდრე ნალბანდოვმა რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული სამხედრო აგრესიის 11 წლისთავთან დაკავშირებით პრესკონფერენცია გამართა. საქართველოს ელჩმა მიმოიხილა საქართველოში უსაფრთხოების კუთხით არსებული მდგომარეობა და ხაზი გაუსვა, რომ სამხედრო ინტერვენციიდან 11 წლის შემდეგაც რუსეთის ფედერაციას ჯერ კიდევ არ შეუსრულებია ევროკავშირის შუამდგომლობით 2008 წლის 12 აგვისტოს დადებული ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება და კვლავ გრძელდება რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების 20%-ის ოკუპაცია.

ელჩმა აქვე ისაუბრა ოკუპირებული ტერიტორიებისკენ მიმართულ საქართველოს სამშვიდობო პოლიტიკის ძირითად ასპექტებსა და საერთაშორისო საზოგადოების მხარდაჭერაზე. მოწვეულ ჟურნალისტებს საშუალება ჰქონდათ, გაცნობოდნენ საქართველოს ოკუპაციის 11 წლისთავთან დაკავშირებულ ფოტო-ვიდეომასალებს.

გავაშენებთ სიპ ქვაზე ბაღს?

„შეგვეშვას ოკუპანტი რუსეთი!“

საქართველოს პარლამენტის შენობის წინ გრძელდება ე.წ. ანტისაოკუპაციო მიტინგი, მოწოდებით – გადადგეს შს მინისტრი გახარია. გახარია კი ჯიუტობს, გადადგომას არ აპირებს. არც აქციის მონაწილენი აპირებენ დაშლას, ვიდრე მათი მოთხოვნა არ დაკმაყოფილდება.

დავუშვათ დაკმაყოფილდა, რას მოიმოქმედებენ აქციის ორგანიზატორები და მონაწილეები, რომლებიც ისე მიეჩვივნენ ამ ღონისძიებას, როგორც სამსახურში სიარულს?

დიახ! აქცია მათი სამსახურია, ერთობ განსხვავებული და უცხო, აქციაში არმონაწილე საზოგადოების – მისდამი ნეგატიურად განწყობილისთვის. აქცია ახალ-ახალ ხერხებსაც მიმართავს – სატელევიზიო ინტერვიუების სახით, რომლებშიც დიდის ენთუზიაზმით იღებენ მონაწილეობას პოლიტიკური პარტიების ლიდერები, ე.წ. ცნობადი სახეები.

პარლამენტის შენობის წინ არსებული მოშეძენილი ძვირად ღირებული პერსონალური ავტომანქანა დაძველდა, მწყობრიდან გამოვიდა და ამიტომ შევცვალეო. ახალი მანქანით უფრო ოპერატიულად შევასრულებ თქვენს დავალებებსო?

კვირაში მინიმუმ 3 დღით, თუ მეტით არა, უცხოეთში იმიტომ დავიარები – თქვენ გიშველოთ, ლუკმაპურით მოგამარაგოთო?

ვერ იტყვის, ვინაიდან ასეთი რამ ამ 30 წლის განმავლობაში ერთხელაც არ გვინახავს. ხელისუფლება ვერც იმას აუხსნის ხალხს – რატომ აქვს მარეგულირებელ კომისიებს, ცენტრალური საარჩევნო კომისიის თანამშრომლებს, ხელმწიფოსთან მიტმასნილი ორგანიზაციის მოხელეებს უმაღლესი ხელფასები ან რას აკეთებენ ისინი ისეთს, რომ მინისტრთა კაბინეტში პატარ-პატარა ჯგუფებად არსებობის პირობებში და ამ კაბინეტის მუშაკთათვის გამოწერილი ხელფასის ოდენობის მსგავსად, ვერ გაართვან თავი დაკისრებულ მოვალეობას?

ვერც იმას აუხსნის ხალხს – რატომ არსებობს თბილისში აფხაზეთის უზენაესი საბჭო, მთავრობა, დარგობრივი სამინისტროები და ა.შ., როდესაც იმათ, ნამდვილ აფხაზეთთან არავითარი შეხება არ აქვთ?

ყოველივე აღნიშნული ნთქავს ხალხის ნაჯაფ ფულს – ბიუჯეტში შეტანილს, რომლის უპირველესი დანიშნულება მწარმოებლური შრომის დაფინანსებაა და არა ისეთი არამწარმოებლურის, რომელიც ზემოთ აღვნიშნე.

არამწარმოებლურია გადათხრილ-გადმოთხრილი ქუჩები, ხიდების რემონტი, საქალაქო ცხოვრებაში აშკარა ქირურგიული, ვოლუნტარისტული ჩარევა – თბილისელთა ცხოვრების პირობების გაუარესების ხარჯზე.

ხელისუფლება ვერ გასცემს დამაჯერებელ პასუხებს ზემომოყვანილ და მოუყვანილ უმსგავსოებას და რახან ამას ვერ მოახერხებს, მოახერხებს მარტივს – ხალხის ყურადღების ოკუპანტ რუსეთზე გადატანას.

ხელისუფლების ასეთი ქმედება საკუთარი თავის გადარჩენის გარდა, დასავლეთის შეკვეთის შესრულებისთვის სჭირდება. იმ დასავლეთის, აშშ-ს ხელმძღვანელობით, რომელიც რუსეთის ლანძღვა-გინების დამკვეთია და საქართველოს ფუნქციას, მხოლოდ ამაში ხედავს. სხვაგვარად რომ ყოფილიყო, უდავოდ არ გამოგვრჩებოდა და ისე, როგორც თურქულ ინვესტიციას, ამერიკულსაც დავინახავდით.

ქართულმა პოლიტიკამ, განსაკუთრებით ოპოზიციამ, აშშ-ს გარკვეული თუ უხილავი წრეების ხელშეწყობით, ახალი ანტირუსული პროპაგანდა ააგორა – რუსეთთან რის ვაივაგლახით აღდგენილი სავაჭრო-ეკონომიკური ხიდების ჩასანგრევად.

ააგორა და შედეგიც მიიღო – რუსი ტურისტებისგან მიტოვებული ქვეყანა, შეწყვეტილი ავიამიმოსვლა, ლარის კურსის კატასტროფული ვარდნა, ფასების მატება.

ანტისაოკუპაციო მიტინგები კი გრძელდება. ოპოზიცია თავს იმართლებს, ტურისტული სეზონის ბუმის დროსაც უფასურდებოდა ლარი და მიტინგები არაფერ შუაშიაო.

შუაში კი არა, ბატონებო, თავშია. ვინც რუსეთის საგარეო საქმთა მინისტრის ლავროვის განცხადება მოისმინა, სწორედ ეს არის ნათქვამი – შეწყდება ანტირუსული ისტერიკა და აღდგება ტურიზმი, საჰაერო მიმოსვლაო!

ისე, კაცმა რომ თქვას – რა როლი ჰქონია ოკუპანტ რუსეთს საქართველოს ეკონომიკაში!!! მას, რომ სხვა, უფრო სერიოზული ეკონომიკური სანქციები დაეწესებინა, რა მოუვიდოდა „თავისუფალ, სუვერენულ“ საქართველოს?

საქართველოს ეკონომიკა, ისე, როგორც ფისკალური სისტემა ქვევით თავქუდმოგლეჯილი მიექანება. არსად ჩანს შემკავებელი. არაფერს ამბობენ ჩვენი ე.წ. დასავლელი პარტნიორები; არაფერს ამბობს ვაშინგტონი. ის ისე დუმს, როგორც 2008 წლის ომის დროს.

ერთადერთი მხსნელი „ოკუპანტი“ რუსეთია, მაგრამ რატომ უნდა გვიხსნას, როდესაც ედნიდან მოწყობილი ტელეგადაცემები მაგნიტივით იზიდავს ტელეეკრანზე გამოჩენის დახარბებულ პოლიტიკოსებსა და საზოგადოების წარმომადგენლებს. ამ „ნოვაციამ“ უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა აქციის გახანგრძლივებაში.

დიახ! რუსეთი ოკუპანტია და მან ეს ოკუპაცია აგრესიის გამოყენებით განახორციელა – ასე თვლიან პოლიტიკოსები, იმათ აყოლილი საზოგადოების წევრები და აინუნშიაც არ აგდებენ, რა ემართება ქვეყანას – მიტინგებით გავერანებულს.

არც არაფერი, ვინაიდან მიტინგით შეცვლილი ხელისუფლება მას (საზოგადოებას) არასდროს გაიხსენებს. ყოველ შემთხვევაში ასე იყო ამ ბოლო 30 წლის განმავლობაში და რაღა ახლა შეიცვლება?

საზოგადოებას – მიტინგებით და ქუჩის „რევოლუციებით“ გატაცებულს, ხელში რჩება დაქცეული ქვეყანა, უმძიმესი სოციალური ვითარება.

პოლიტიკური ხასიათის მიტინგები – ხელისუფლების შეცვლისთვის თუ არ არის გამაგრებული სოციალური ლოზუნგებით და მოთხოვნებით, ისე, როგორც ეს ევროპაში ხდება, ვერ გადაზრდის მიტინგს რევოლუციაში, ვერ შეცვლის ხელისუფლებას, ვერ აიძულებს, მას გადადგას კარდინალური ნაბიჯები სოციალური მდგომარეობის გამოსასწორებლად.

ერთადერთი გზა ხელისუფლების შესაცვლელად სოციალური საკითხების წინა პლანზე წამოწევაა. საქართველოში ეს არ ხდება. ქართველებს ეხამუშებათ სამუშაო ადგილების მოთხოვნის დაყენება; გაძვირებული ცხოვრების გაპროტესტება; გაზულუქებული სახელმწიფო მოხელეების, ბანკირების, არასამთავრობო ორგანიზაციების, მარეგულირებელი კომისიების მიერ ხალხის ნაჯაფის ჯიბეებში ჩადება; საკუთარი თავისთვის ედემის ბაღის მოწყობა, ხალხისთვის – ჯოჯოხეთის. ხელისუფლებამ იცის, რომ ხალხი მის ღორმუცელობას არ გააპროტესტებს – დიდი, დიდი საკუთარ სამზარეულოში იბუზღუნოს.

სოციალური პრობლემების გამო მიტინგის მოწყობა უდავოდ დააბნევს ხელისუფლებას და ობიექტური პასუხის გაცემის შანსსაც დაკარგვინებს, მით უმეტეს, მაშინ, როდესაც მას (ხელისუფლებას) პასუხიც არა აქვს. ანდა, რა პასუხი უნდა ჰქონდეს კითხვაზე – რატომ აქვს ხელისუფლების მოხელეებს მრავალჯერ მეტი ხელფასი, პრემია ან დანამატი, ვიდრე პენსიონერსა და დაბალხელფასიან მოხელეს?

ხელისუფლების წარმომადგენელი ხომ ვერ იტყვის – მე იმიტომ მაქვს მაღალი ხელფასი, დღე-ღამეს ვასწორებ ხალხის, ქვეყნის კეთილდღეობისთვისო?

ვერც იმას იტყვის, რომ ერთი წლის წინათ **30 წლის განმავლობაში თავგამოდებით ვლანძღავთ?**

ოკუპანტიაო – ვიძახით. ის, რომ ოკუპანტია, დამოუკიდებლობის აქტშიც ჩავწერეთ: **„1921 წლის თებერვალ-მარტში რუსეთმა უხეშად დაარღვია საქართველო-რუსეთის 1920 წლის 7 მაისის სამშვიდობო ხელშეკრულება და შეიარაღებული აგრესიის გზით მოახდინა თავის მიერვე ცნობილი საქართველოს სახელმწიფოს ოკუპაცია, რასაც შემდგომში მოჰყვა მისი ფაქტობრივი ანექსია...**

საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში საქართველოს იძულებითი ყოფნის მთელი პერიოდი აღინიშნა სისხლიანი ტერორითა და რეპრესიებით. ფარული ომი საქართველოს წინააღმდეგ დღესაც გრძელდება. მისი მიზანია, დააბრკოლოს საქართველოს სწრაფვა თავისუფლებისა და დემოკრატიისკენ“.

თავისუფლება და დემოკრატია ამ აქტის მიღებისთანავე არ მოსულა. 1991 წლის დეკემბერში მოვიდა და ისიც „ოკუპანტი“ რუსეთის გადაწყვეტილებით, როდესაც საბჭოთა კავშირის პრეზიდენტმა გორბაჩოვმა სატელევიზიო გამოსვლით გვაუწყა საბჭოთა კავშირის დაშლა.

რა მიიღო საქართველომ?

ნანატრი თავისუფლება, დამოუკიდებლობა, სუვერენიტეტი. მიიღო და უმალ სხვას ჩააბარა, ანუ აშშ-ს. რუსეთი კი მტრად გაიხადა. მაშინ რუსეთს, საკუთარ პრობლემებში ჩაძირულს, თავი არ ჰქონდა სერიოზულად აღექვა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში არსებული რუსოფობიური სულისკვეთება.

ელცინის და მისი ლიბერალური, პრომეთეური ხელისუფლების ძალისხმევით ბევრი გაკეთდა გუშინდელი ახლობლების დასაშორებლად. ოფიციალური დოკუმენტების მიხედვით, საიდუმლო გრიფის მოხსნის შემდეგ, ცნობილი გახდა, რომ რუსეთი მზად იყო, 15 მილიარდ დოლარად ფინეთისთვის დაებრუნებინა კარელია-ფინეთი. ელცინი იმასაც ფიქრობდა, რომ კურილიის კუნძულები იაპონიისთვის გადაეცა.

ელცინის ხელისუფლებამ დაუშვა იუგოსლავიის დაქუცმაცება, აღმოსავლეთ ევროპის ნატოში გაწევრება და ა.შ.

ასეთი, ცხადია, საქართველოსთან რაიმე კავშირისთვის თავს არ აიტკივებდა.

რუსეთმა დაიწყო ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან გასვლა. რუსეთი გავიდა გერმანიიდან, უნგრეთიდან, პოლონეთიდან, ჩეხოსლოვაკიიდან, აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნებიდან, ავღანეთიდან და დატოვა გზები, აეროდრომები, სკოლები, საავადმყოფოები, ფაბრიკა-ქარხნები...

გავიხსენოთ საბჭოთა პერიოდი – მიუკერძოებლად, ობიექტურად და არა ისე, როგორც დამოუკიდებლობის აქტშია ჩამოყალიბებული. საქართველო მსოფლიოს წარუდგა სამი ავტონომიური რესპუბლიკის – აფხაზეთის, აჭარის და სამხრეთ ოსეთის სახით ერთიან ქვეყნად; ხუთნახევარი მილიონი მოსახლით; განვითარებული მრეწველობით, სოფლის მეურნეობით, განათლებით, კულტურით, მეცნიერებით, სპორტით.

საქართველო სწავლა-განათლების დარგში იყო მსოფლიოს მოწინავე ქვეყანა. საქართველოში წარმოებული პროდუქცია (300-ზე მეტი დასახელების) უცხოეთში გადიოდა. საქართველო იყო საბჭოთა კავშირის მოწინავე რესპუბლიკა.

დაახლოებით ანალოგიური ვითარება იყო ყველა საბჭოთა რესპუბლიკაში, საიდანაც დაიწყო გასვლა რუსეთმა. და რა მოხდა აღნიშნული ქვეყნებიდან რუსეთის გასვლის შემდეგ?

დაიხურა ფაბრიკა-ქარხნები; განადგურდა მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, მანქანათმშენებლობა, მეტალურგია, გზები, საზღვაო პორტები, ყოველივე ის, რაც არის ერის დამოუკიდებლობის, თავისუფლებისა და სუვერენიტეტის უპირველესი დამახასიათებელი.

ნაცვლად ამისა დარჩა მარტო სამი სიტყვა – **თავისუფლება, დამოუკიდებლობა, სუვერენიტეტი,** რომლებიც ზემომოყვანილი ატრიბუტიკის გარეშე არაფერია, ანუ შეუფერებელია სუვერენობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის.

ხშირად გვესმის – შეგვეშვან რუსები, ჩვენ თავს თვით მივხედავთო. რუსები შეშვებულები არიან, მაგრამ დამოუკიდებლობის მტკიცე ნაბიჯები ჩვენ მიერ გადადგმული არ ჩანს. არც არვინ ჩანს ხელის გამომწვდენი, დამხმარებელი. არც ჩვენ ვჩანვართ ისეთი, სიპ ქვაზე, რომ ბაღს გააშენებს.

ჰამლეტ ჟიპაშვილი,
პოლიტოლოგი.

მთლიანობისა და სუვერენიტეტის დარღვევას ვერასდროს შეეგუებით

– ამის შესახებ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა დავით ზალკალიანმა განაცხადა აგვისტოს ომთან შესახებ რუსეთის საგარეო უწყების განცხადებასთან დაკავშირებით. მისი თქმით, საქართველოს აქვს მთელი მსოფლიოს ცივილიზებული საზოგადოების ძალიან სერიოზული მხარდაჭერა.

„გამონაკლისია მხოლოდ რუსეთის ფედერაცია და რამდენიმე არშემდგარი სახელმწიფო, რომელთა რაოდენობა, ჩვენი დიპლომატიური მცდელობების შედეგად, მცირდება და მომავალშიც შემცირდება. აქედან გამომდინარე ვფიქრობ, ყველამ უნდა გამოიტანოს დასკვნა, მათ შორის რუსეთის ფედერაციამ, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფა არასდროს იქნება მიღებული საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ“, – განაცხადა საქართველოს პირველ არხთან საგარეო საქმეთა მინისტრმა.

დავით ზალკალიანის თქმით, საქართველო პოზიციებში თანმიმდევრულია, რუსეთის ფედერაცია კი, უნდა დაუბრუნდეს იმ პოზიციას, როდესაც მას საქართველო აღიარებული ჰყავდა საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში. მინისტრის თქმით, სწორედ ეს იქნება კრემლის მხრიდან დეოკუპაციისკენ გადადგმული ნაბიჯი, რაც შემდგომი ურთიერთობების ნორმალიზებას შეუწყობს ხელს. დავით ზალკალიანის თქმით, ფაქტია, რომ 2008 წელს მოხდა ინტერვენცია, რომელიც შემდგომ გაფორმდა ოკუპაციით.

მონოგრაფიის საყრდენადაც

დავით წერედიანი და ჟარგონი

დავით წერედიანის წიგნში „თემა და ვარიაციები“ („ინტელექტი“, 2018) ვარიაციათა ერთ-ერთ წყებად რომ შევიდოდა „ენობრივი ზიგზაგები“, აღგილი დაეთმობოდა ქართულ ჟარგონსაც, უმთავრესად როგორც რუსული სიტყვებისა და კალკების ნაჯერს, კიდევ ერთ დასტურს იმისა, ჩვენი სამეტყველო ენა საკმაოდ რომ დანაგვიანებულა რუსიციზმებით.

პოეტი, მკვლევარი და მთარგმნელი გასაკვირად მიიჩნევდა, რომ:

დღეს, როცა რუსეთი ჩვენზე თითქოს გავლენას ვეღარ ახდენდა და ახალგაზრდობას რუსული ენა კანტიკუნტადღა ეცოდინებოდა, ქართული ჟარგონი რუსული სიტყვებითა და კალკებით ისევ ძველებურად შეივსებოდა.

და აღმოაჩენდა:

ჩვენი დღევანდელი პროზა, რომლის დიდი ნაწილიც ჟარგონულ მეტყველებას ანიჭებდა უპირატესობას, ნათლად გამოაჩენდა, ქართული ჟარგონი ფაქტობრივად რომ არ არსებობდა.

რამდენჯერმე მოუხდებოდა ლიტერატურული პრემიების ჟიურიში ყოფნა და დღევანდელი პროზის გაბმით კითხვა და... გული აუტირდებოდა, ისე გაძეძგილიყო ვულგარული რუსულით, ვითომდა ქართული ჟარგონით

ჩვენი სამეტყველო ენა ძალიან კი დანაგვიანებულიყო რუსიციზმებით, მაგრამ საგანგებოდ როგორ არ აღენიშნა, რომ:

მთელი თაობები, მეცხრამეტე საუკუნის ბოლოდან მოკიდებული, როგორღაც იმ პოლიტიკურ სიტუაციაშიც ახერხებდნენ, რუსული სიტყვებისა და გამოთქმებისათვის მკაცრი ბარიერი რომ დაეწესებინათ; და სალიტერატურო ენაში არც აჭაჭანებდნენ.

და პრობლემად დავით წერედიანი ინგლისურს უფრო დასახავდა, რომლისთვისაც ლიტერატურულ ენას ფართოდ გაეღო კარი, იმდენად ფართოდ, რომ შიგადაშიგ ჭირდა კიდეც ნაწერიდან უინგლისუროდ აზრის გამოტანა.

თანაც – როგორ არ გაგცინებოდა – ამ საქმეში ყველაზე ბეჯითად ის ხალხი რომ ირჯებოდა, ვინც ნაკლებად იცოდა ინგლისური, ანდა საერთოდ არ იცოდა, რამდენიმე სიტყვა თუ გაეზეპირებინა.

და ჩაუკვირდებოდა ერთ არსებით და საჭირბოროტო საკითხს, რიტორიკული შეკითხვის ფორმა თავისთავად რომ ამჟღავნებდა მის შეხედულებას:

ლიტერატურაში ჟარგონით მეტყველება კიდევ იმ მიზეზით ხომ არ ჩანს გამოწვეული, რომ ჩვენი ავტორები სალიტერატურო ქართულში თავს ძალიან მყარადაც ვერ გრძნობენო?

ვაი და ვაგლახ!..

* * *

ფრანსუა ვიიონის ქართულად ამეტყველებისას ჟარგონს მხოლოდ აუცილებლობისას გამოიყენებდა, ამიტომაც: ზუსტადაც და მოხდენილადაც.

„ქართული ჟარგონის ლექსიკონში“ ლევან ბრეგაძე ქართული ვიიონიდანაც მოიშველიებდა მაგალითებს.

განმარტავდა **ახვევს** ქარაგმულ ლაპარაკად და ვიიონური სტრიქონი გამოადგებოდა:

– ვიცი, რას ახვევს ქურდი ქურდულად.

განმარტავდა **განაბს** ქურდად, ებრაულიდან მომდინარედ, და გურამ რჩეულიშვილის ფრაზასთან ერთად:

– ძველი ნაციხარია; ახლაც განაბია. არ იცნობ?

ვიიონურ სტრიქონსაც მოიხმობდა:

– შარის საძებრად გამოსულ განაბს.

განმარტავდა **მჭმეველს,** როგორც: ვინც ვიღაც მოატყუა (აჭამა) – და მარტოდენ ვიიონურ სტრიქონს იკმარებდა:

– თაღლითს თუ არიფს, მჭმეველს თუ მჭამელს, უკანასკნელად მივყვირი ყველას...

მიაქცევდით ყურადღებას, **არიფიც** რომ ჟარგონული სიტყვაა და მიამიტს, გამოუცდელს, ადვილად მოსატყუებელს ნიშნავს.

შეიძლებოდა გამოეყენებინა ვიიონის პოეტური ანდერძები **კეთილებთან** დაკავშირებითაც, ლევან ბრეგაძე მარტოდენ ამ გამოთქმებს რომ აღნიშნავდა: **კეთილებს უტრიალებს** (სასტიკად აგინებს) და **კეთილებში გაისეირნა** (აგინა). არადა შეიძლებოდა იმ გამჭვირვალე მინიშნებებზე დაყრდნობით: **კეთილების** ხსენება რომ მოგვაგონებდა – ცალკე ბუდედ ეს მინიშნებაც და შესაფერისი სტრიქონიც შეეტანა.

– ცერი ქამარზე, სიტყვა ლაქარდით, – ბრწყინვა განარჩევს ქვისგან ბრილიანტს, „ჰმ, ჰმ“, „კეთილით“, „დიახთ“, „ნახვამდით“, რომ თქვან: „კეთილებ – ! რა გაზრდილია“!

ან კიდევ ეს, ბედისაგან გაფრთხილება:

– ჩემს კეთილებს დაეხსენი, გავწყრები და ბრალი შენი! ჭკუას უხმე, ვიიონო!

ტარიელ ჭანტურია მისთვის ჩვეული შეღიმილებისას ამასაც დაწერდა:

ფრანსუა ვიიონის – შუა საუკუნეების საფრანგეთის ამ ყველაზე „აცვენილი“ მოქალაქისა და პოეტის – აბურდულ ბიოგრაფიას რომ ვეცნობით, თვით დათო წერედიანშიც კი შეიძლება შეგეპაროს კაცს ეჭვი – როგორ თარგმნა ასე ზუსტად, თუ თვითონ მთლად წმინდა კაცია! – ან ეს „ქურდული თომარი“ სად ისწავლა, ან ამდენი ჯურღმულის საიდუმლო საიდან გაიგო, ან ამდენ ნაძირალას საიდან იცნობს ასე კარგადო!

აღტაცებას კი იმავე ჩანაწერში – „ფრანსუა ვიიონი და მისი რეპეტიტორი“ – ასეც გამოხატავდა:

„ფრანსუა ვიიონის ლექსები რომ დაწერილი არ იყოს, მე დავწერდიო, თამამად შეუძლია თქვას დათო წერედიანმა.

კი, ნამდვილად დაწერდა! – ვფიქრობთ ჩვენც, როცა დიდი ფრანგი პოეტის ლექსთა ქართულ, კონგენიალურ თარგმანს ვეცნობით“.

სხვაგან სხვა აღმატებულ ეპითეტს შეურჩევდა, ეს მაშინ, როდესაც „მცირე ანდერძის“ კვალობაზე პაროდიულ პოემას შეთხზავდა: „მინი-ანდერძი“ – და მიუძღვნიდა დავით წერედიანს იმ უბადლო თარგმანის გამო.

სხვაგან სხვა აღმატებულ ეპითეტსაც არ მოერიდებოდა:

პირადად მე, მკითხველი, ვერას ვიწამებ იმ პოეტისას, ვისაც არ შეუძლია დროდადრო ჩაიდინოს დაახლოებით ისეთივ პოეტური გმირობა, როგორიც ჩაუდენიათ ჩვენს საყვარელ პოეტებს, და როგორიც სულ ახლახან, ჩვენ თვალწინ ჩაიდინა ოფიციალური ტიტულით – მთარგმნელმა, სინამდვილეში კი ჩინებულმა პოეტმა დავით წერედიანმაო.

„მცირე ანდერძის“ კონგენიალურ და უბადლო თარგმანს აგერ გმირობადაც შეაფასებდა.

ცხადია იგივე შეგვიძლია გავიმეოროთ „დიდი ანდერძის“ ქართულ ორეულზეც.

მაგრამ ამჯერად ის შეღიმილებაა მთავარი: ან ეს „ქურდული თომარი“ სად ისწავლა, ან ამდენი ჯურღმულის საიდუმლო საიდან გაიგოო...

ეს სიტყვები მიგვანიშნებს იმასაც, „მცირე ანდერძი“ თუ „დიდი ანდერძი“ თავით ბოლომდე ჟარგონული ენით რომ გაწყობილიყო, დავით წერედიანს არ გაუძნელდებოდა შესაფერისი მეტყველების შემუშავება ქართულად, მაგრამ რაკიღა ფრანსუა ვიიონი შემთხვევიდან შემთხვევამდე თუ გადმოისვრის ჟარგონულ გამოთქმას, ქართულადაც შემთხვევიდან შემთხვევამდეა შერჩეული ჟარგონული სიტყვა.

ისე წარმომიდგენია, რომელიმე მოდასაყოლილმა პოეტ-მთარგმნელმა ვიიონის რომელიმე ლექსი ჟარგონულად რომ აამეტყველოს, რა სასაცილო ყოფაში ჩაიგდებს თავს, დაახლოებით ისეთივეში, რაც დაემართა გია ჭუმბურიძეს, ჯერომ სელინჯერის „თამაში ჭვავის ყანაში“ რატომღაც ჟარგონულ მეტყველებაზე რომ გააწყო და... კიდეც სრულიად აცდა ამერიკელ მწერალსა და მის მოაღსარებე გმირს.



ნეტა ყველა ითვალისწინებდეს დავით წერედიანისეულ დამოკიდებულებას თუნდ ამგვარი ვითარებისას: ჟარგონული სიტყვა-გამოთქმა მხოლოდ აუცილებლობისას.

თუმც რა გინდა იღონო, თუ მწერლობა ან მთარგმნელობა მოგნდომებია და... სალიტერატურო ქართულში კი ძალიან მყარადაც ვერა გრძნობ თავს?!.

* * *

იმ გარემოებასაც დაუკვირდებოდა „ენობრივი ზიგზაგების“ რკალში:

ეს სკაბრეზი, ეს „მაგარ-მაგარი“ სიტყვები და გამოთქმები, ბეჭდურადაც და სცენიდანაც ასე რომ მოგვიხშირდებოდა.

თუ მართლა საჭირო გამხდარიყო, წინააღმდეგი არც დავით წერედიანი გახლდათ, ანკი რატომ უნდა ყოფილიყო:

კი ბატონო, რატომაც არაო.

და ეს იმიტომ, რომ:

ხან რისხვიანი გახლდათ, ხანაც გამაცინარი.

მაგრამ...

ყოველ მეორე ფრაზაში რისთვის უნდა დაგჭირებოდა?

და დაე შეგვესმინა დახვეწილი გემოვნების პოეტის ეს შეგონება:

ისინი იმიტომ იყვნენ გამორჩეულნი, რომ ტაბუირების გამო უზარმაზარი ენერგია ახლდათ.

სრული ნებადართულობის შედეგად კი...

მართლაც რა დიდი მიხვედრა უნდოდა, ენერგია ერთბაშად რომ ეცლებოდათ, რითაც ენა არა მხოლოდ სტილისტიკურად, სტრუქტურულადაც ღარიბდებოდა.

ეს ყოველივე დავით წერედიანისებური უაღრესი დაწურულობითაა წარმოდგენილი ორიოდ გვერდზე, შესაფერისი მასალით შევსება მონოგრაფიად და იქნებ მონოგრაფიებადაც რომ აქცევს ამ დაკვირვებებს – მთავარია, რომ ზუსტი აქცენტებია დასმული და საკვლევაძიებო მიმართულებაც მონიშნული.

დასაფიქრებელი და მოსაგვარებელი ნამდვილად არის და დროულადაც, ვიდრე სათავეშისაცემოდ გაგვიხდებოდეს.

ევროპული ორიენტაცია რომ არ უნდა ნიშნავდეს ანგლიციზმებითა და ამერიკანიზმებით ქართული მეტყველებისა და სალიტერატურო ენის დანაგვიანებას, სამწუხაროდ ამასაც მტკიცება დასჭირებია. რა ვუყოთ, რაკიღა დასჭირებია, უნდა ვამტკიცოთ კიდეც.

და კიდევ:

ქართული ენის ზედაპირულ ცოდნას ჟარგონით მეტყველება ვერ დაგვიფარავს.

და ნუღარც სკაბრეზისა და „მაგარ-მაგარი“ სიტყვა-გამოთქმების იმედად ვიქნებით, თორემ ნებადართულობამ ენერგია სრულიად რომ გამოაცალათ, მათი სულ უფრო მოხშირებით მხოლოდღა ჩვენი ისედაც უბედურ დღეში ჩავარდნილი ენის სტილისტიკური და სტრუქტურული გაღარიბების პროცესს შევუწყობთ ხელს, ილია ჭავჭავაძე მშობელ მამასაც რომ ვერ დაუთმობდა მიწასთან გასწორებას მშობლიური ენისა.

როსტომ ჩხეიძე

ქართული ენა მალე „მაიკროსოფტის“ ხელოვნური ინტელექტის პლატფორმებზე ინტეგრირდება

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი მიხეილ ბატიაშვილი „მაიკროსოფტის“ (**Microsoft**) ექსპერტს განათლების საკითხებში ოლივერ ზოფიჩს შეხვდა. შეხვედრა სამუშაო ხასიათის იყო.

განათლების სამინისტროს ინფორმაციით, განათლების კომპლექსური რეფორმის ფარგლებში, სასწავლო დაწესებულებებში სწავლის ხარისხის ასამაღლებლად, ერთ-ერთი სტრატეგიული კომპონენტია ციფრული ტექნოლოგიების სწავლა-სწავლების პროცესში დანერგვა. ამ მიმართულებით განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განახორციელა. კიდევ ერთი მასშტაბური პროექტი კი, რომელზე მუშაობა ამ ეტაპზე ინტენსიურად მიმდინარეობს, „მაიკროსოფტის“ ხელოვნური ინტელექტის პლატფორმებზე ქართული ენის ინტეგრირებას გულისხმობს. შეხვედრაც ამ მიზნით გაიმართა.

შეხვედრის დროს საუბარი შეეხო სამინისტროსა და „მაიკროსოფტს“ შორის თანამშრომლობის ფარგლებში განსახორციელებელ პროექტს, რომელიც შემოდგომიდან განხორციელდება და საშუალო და უმაღლესი განათლების მიმართულებით ხელმისაწვდომი გახდება.

განათლების სამინისტროს შეფასებით, ქართული ენის „მაიკროსოფტის“ ხელოვნური ინტელექტის პლატფორმებზე ინტეგრირება სასწავლო პროცესში თანამედროვე ტექნოლოგიების მეტად დანერგვას შეუწყობს ხელს და ქართველ მოსწავლეებსა და მასწავლებლებს 21-ე საუკუნის გამოწვევებისთვის საჭირო ცოდნით უზრუნველყოფს.

ელენე თარხნიშვილი – „ბუდემოშლილი ბულბული“

ქართველ ხელოვანთა ტრიუმფი უცხოეთში

ქართველები რომ ევროპის ნაწილს წარმოვადგენთ, ამაზე მთელი ჩვენი წარსული ისტორია მეტყველებს. გავიხსენოთ თუნდაც „ოქროს საწმისი“, მედეას და იასონის ისტორია. მჭიდრო კავშირი არსებობდა ძველ საბერძნეთსა და რომის იმპერიასთან. ეს კავშირები და ნათესაური ურთიერთობები სამეფო კარის დონემდე იყო ასული, გავიხსენოთ ჯერ კიდევ ჩვენი წელთაღრიცხვის მეორე საუკუნეში ქართველთა (იბერიის) მეფის ფარსმან II ქველის და მისი ამალის სტუმრობა რომის იმპერატორ ანტონინუს პიუსთან. იმ დღეებში რომაელმა ხალხმა იხილა ქართველების მიერ წარმოდგენილი ჩაუქი მხედრული ჯირითი, საომარი როკვა-ვარჯიში, ქართველი ხელმწიფის და მისი მხლებლების ვაჟკაცური შემართება. ბოლოს, მარსის ველზე, კეისარ ანტონინუს პიუსის საგანგებო ბრძანებით, აღმართეს ცხენზე ამხედრებული, მოჯირითე ქართველი მეფის დიდებული ქანდაკება. ასეთი ურთიერთდამოკიდებულება მომდევნო პერიოდშიც უამრავი იყო.

ევროპაში ქართველთა მიმოსვლა და კავშირურთიერთობა მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში აქტიურ სახეს იძენს. გერმანიაში, საფრანგეთში, იტალიაში, ინგლისსა და სხვა ქვეყნებში არა ერთი ქართველი ახალგაზრდა ეზიარა პროგრესულ, ახალ სამრეწველო ტექნოლოგიებს, მეცნიერებას, მუსიკალურ და სამხატვრო ხელოვნებას. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა უკვე საქვეყნოდ აღიარებული იტალიური სასიმღერო სკოლა. მე-19 საუკუნის ბოლო პერიოდში იტალიის ქალაქ მილანის „ლა სკალას“ თეატრში (სხვა ქალაქებშიც) მთავარ საოპერო პარტიებში ვხედავთ ქართველ ბანს ფილიმონ ქორიძეს. ამ პერიოდში დიდი წარმატებით გადის ვოკალურ კურსს არაჩვეულებრივი ხმის მქონე პეტრე კაკაბაძე. მილანში ეუფლება იტალიურ სასიმღერო სკოლას შესანიშნავი ტენორი მიხეილ ნანობაშვილი (მიშელ დარიალის ფსევდონიმით), შემდგომში პარიზის „გრანდ-ოპერის“ პრემიერი; ჩვენი სათაყვანებელი მომღერალი, „საქართველოს ბულბულად“ აღიარებული ვანო სარაჯიშვილი. მე-20 საუკუნის დასაწყისში იტალიური ვოკალური სკოლა გაიარა ბრწყინვალე შესაძლებლობების მქონე ელენე თარხნიშვილმა.

იგი 1883 წელს სოფელ კოდაში იოსებ თარხან-მოურავის ოჯახში დაიბადა. ელენეს წინაპართა შტო გიორგი სააკაძის პირდაპირ მიდის. XVII საუკუნის 30-იანი წლების ბოლოს როსტომ ქართლის მეფემ გიორგი სააკაძის შვილს, იორამს, როგორც საპატიო ტიტული, თარხნობა უბოძა, სწორედ აქედან მომდინარეობს თარხან-მოურავების საგვარეულო დინასტია, რომელიც შემდეგ თარხნიშვილების გვარითაც გაგრძელდა.

ელენემ პირველდაწყებითი მუსიკალური განათლება იმ დროს თბილისში მოღვაწე მომღერალ იოსებ რატილთან მიიღო. ეს ის ჩეხი იოსებ რატილია, რომელსაც ჩვენმა დიდმა მამულიშვილმა ლადო აღნიაშვილმა საქართველოში პირველი ქართული ხალხური სიმღერის გუნდის ლოტბარობა შესთავაზა.

ეკონომიკური ხელმოკლეობის გამო, ელენეს მამას უჭირდა ქალიშვილისათვის ევროპული განათლების მიცემა. ცნობილი მწერალი ეკატერინე თარხნიშვილი-გაბაშვილი მაშინ თავის ძმას წამოეშველა და უბადლო ხმით დაჯილდოებული ელენე ფართო საზოგადოებას წარუდგინა. ხშირად მღეროდა სალონებსა და საოჯახო საღამოებზე. მისი გუნებრივი წკრიალა ხმა აუცილებელ შემდგომ მეცადინეობას საჭიროებდა ამ მიზნით ელენე თარხნიშვილი 1905 წელს პეტერბურგში ჩადის.

იტალიიდან ვანო სარაჯიშვილი პეტერბურგში ელენეს სწერს: „ჩემო ელენე, შენი შესანიშნავი ვოკალური მონაცემები იმსახურებს განვითარებას, რისთვისაც უკვე მოველაპარაკე მაესტრო დოტის, გელოდები მილანში!“. და აი, 1908 წლის სექტემბრის ერთ მშვენიერ დღეს ვანო სარაჯიშვილი მილანის სადგურში დიდი სითბოთი ეგებება სიმღერის დასაუფლებლად ჩასულ თანამემამულეს და მის მიერ წინასწარ დაჯავშნილ პანსიონში აწყობს, შემდეგ კი მოსასმენად მაესტრო დოტისთან მიჰყავს. თავისი ვოკალური შესაძლებლობებით ელენემ სულ უმოკლეს დროში მოხიბლა იტალიელები და უდიდეს წარმატებებსაც მიაღწია. 1910 წელს ცნობილმა იტალიელმა კომპოზიტორმა პიეტრო მასკანიმ თავისი ოპერის „სოფლის პატიოსნების“ ამერიკაში საგასტროლოდ, სანტუცას მთავარი პარტიის შემსრულებელთა სპეციალური კონკურსი მოაწყო. 14 სოპრანოს შორის კომპოზიტორმა ელენე თარხნიშვილი შეარჩია. ხუთი თვის განმავლობაში, 1911 წლის იანვრიდან მაისის ჩათვლით, მან უდიდესი წარმატებით იმღერა ამერიკის საოპერო თეატრებში. ელენემ მეტროპოლიტენ ოპერაში პარტნიორობა გაუწია მსოფლიოში აღიარებულ იტალიელ ტენორს ენრიკო კარუზოს.



ამერიკიდან დაბრუნების შემდეგ მომღერალი დიდი წარმატებით გამოდის იტალიაში. 1911 წლის ნოემბერში ელენე საქართველოში ჩამოდის, თბილისელი მაყურებელი აღტაცებით ხვდება ნიჭიერ მომღერალს. ელენეს მონაწილეობით ანშლაგებით მიდიოდა „ტრავიატა“, „რიგოლეტო“, „ბოჰემა“ და „ფაუსტი“ მან მთავარი პარტიები შეასრულა უმაღლეს პროფესიულ დონეზე. აღფრთოვანებული მაყურებლის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ელენე იყო პირველი ქართველი მომღერალი ქალი, რომელიც ცნობილი იტალიური „ბელ კანტოს“ შთამბეჭდავ სიმაღლეზე ავიდა. 21 დეკემბერს ულამაზესი ბენეფისი მოუწყვეს. პრესა აქტიურად გამოეხმაურა მის გამოსვლებს. გაზეთი „კავკაზი“ წერდა: „მსახიობი დაჯილდოებულია ხავერდოვანი ტემბრის ლირიკულ-კოლორიტული სოპრანოთი. ხმა დამუშავებული აქვს იტალიური სკოლის ყველა წესის მიხედვით, კარგი ვოკალიზაცია, ვრცელი სუნთქვა, წუნდაუდებელი სწორი ინტონაცია და ლამაზი სტილი მოწმობს იმას, რომ მას უნაყოფოდ არ გაუტარებია დრო იტალიაში“.

აკაკი წერეთელი თბილისში სპეციალურად ჩამოვიდა ოპერა „ტრავიატას“ მოსასმენად. მან ელენე თარხნიშვილს აღტაცებული სტატია და ლექსი მიუძღვნა:

„... ხან ქვითინებ გულდაწყვეტით,
შავ ქვესკნელში აძვრენ ხმასა,
ხან იმედი ცაში აგყავს, აორკეცემ გულისთქმასა!..
ჩამოგვბერე ჩვენც ეგ ძალა,
სულთან გულის გადამბმელო,
რომ ყოველთვის თვალწინ გვედგას
ფერმიხდილი საქართველო!“

1912 წლის 12 იანვარს ელენე ქუთაისში სტუდენტებისთვის მართავს კონცერტს, სადაც იტალიურ კლასიკურ ნაწარმოებებთან ერთად დიდი შინაგანი გზნებით შეასრულა ქართული სიმღერები. 21 იანვარს ბაქოში გამართულ ქართულ საღამოზე გამოდის ვანო სარაჯიშვილთან ერთად. აქვე მონაწილეობა მიიღო საქველმოქმედო საღამო-წარმოდგენებში. მისმა მაღალმა საშემსრულებლო დონემ განუზომელი წვლილი შეიტანა 10 თებერვლიდან 1 მარტამდე სერგო ევლახიშვილის საოპერო დასის მიერ ქუთაისსა და ბათუმში გამართული 12 სპექტაკლის წარმატებაში. 14 აპრილს კი თარხნიშვილის გამოსათხოვარი გრანდიოზული კონცერტი-საღამო გაიმართა მისი და ვანო სარაჯიშვილის მონაწილეობით ქართულ კლუბში. 15 აპრილს ელენე პეტერბურგში ჩავიდა და უკვე 21 აპრილს ქართველ სტუდენტთა მიერ მოწყობილ საღამო-კონცერტში მიიღო მონაწილეობა.

მომდევნო პერიოდში ქართველი სოპრანო იტალიაში აგრძელებს მოღვაწეობას. უდიდესი წარმატებით მღერის საქვეყნოდ აღიარებულ მილანის „ლა სკალას“ თეატრში. ამის შემდეგ იგი გამოდის ქალაქ მონცას საოპერო თეატრში ვიოლეტას პარტიაში „ტრავიატაში“, სადაც ელენე მსმენელზე წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს. შემდგომ სტუმრობს ქალაქ სავონას, რა დროსაც პრესა ელენეს შესახებ იტყობინებოდა, რომ მომღერალი ქალი წარმტაცი გრაციით და დიდი არტისტული უშუალობით მღეროდა. მას ყველგან ოვაციით ხვდებოდნენ. ქართველი მომღერალი ახალგაზრდული გზნებით მღეროდა და თამაშობდა დონიცეტის „ლუჩია დი ლამერმორში“. წუნდაუდებელი იყო გუნოს „ფაუსტში“ (მარგარიტა), პუჩინის „ბოჰემაში“ (მიმი), ვერდის „რიგოლეტოში“ (ჯილდა) და სხვა სპექტაკლში. „თარხნიშვილი ფლობს გამჭვირვალე, სასიამოვნო, ფართო დიაპაზონის ხმას, მოდულაციის სათუთი ხელოვნების უნარით“ – წერდნენ კრიტიკოსები. იტალიაში არ დარჩენილა დიდი ქალაქების საოპერო თეატრები, სადაც ელენეს საერთო წარმატება და აღიარება არ ჰქონოდა. საქართველოდან შორს მოღვაწე მომღერალს „ბუდემოშლილ ბულბულს“ უწოდებდნენ.

ამ პერიოდისათვის ცნობილი იყო ელენე თარხნიშვილის მილანური სალონი, სადაც უკვე სახელოვანი მომღერლები: შალიაპინის, ენრიკო კარუზოს, ტიტა რუფოს, დე ლუჩიას, ჯირალდონის, ანსელმის და არტურო ვიტას გარდა თავს იყრიდნენ, საქართველოდან იტალიაში სასწავლებლად ჩასული ახალგაზრდები: სანდრო ინაშვილი, ანა ჯაყელი, დავით აკოფაშვილი, ვალერიან ქაშაკაშვილი და სხვები.

1920 წელს ელენე ცოლად მიჰყვება იშვიათი ხმის მქონე იტალიელ ტენორსა და შესანიშნავ პიანისტს არტურო ვიტას, რომელიც შემდეგ ამერიკის შეერთებულ შტატებში მიიწვიეს. მამის მძიმე ავადმყოფობის და შემდეგ გარდაცვალების გამო ელენე მეუღლეს ვერ გაჰყვა და იტალიაში დარჩა. დრო გადიოდა, შეუსვენებელმა შრომამ, გასაჭირმა და მრავალმა პირადულმა უსიამოვნებამ დაღალა ჯან-ღონით სავსე, ბრწყინვალე მონაცემების მქონე მომღერალი ქალი. 1924-1925 წლების სეზონზე დონიცეტის მშობლიურ ქალაქ ბერგამოში იგი ჯერ ისევ სრული შემართებით, საღი და ძლიერი ხმით მღეროდა ჯილდას, ვიოლეტასა და ლუჩიას პარტიებს. მაგრამ მწვავე ართრიტის გამო იძულებული შეიქნა, საოპერო კარიერისათვის თავი დაენებებინა და ხანგრძლივი მკურნალობის შემდეგ პედაგოგიური მოღვაწეობა დაეწყო ქალაქ მილანში. ელენე ვიტას ვოკალურ სკოლაში ბევრი საუკეთესო მომღერალი აღიზარდა, რომლებიც წარმატებით გამოდიოდნენ იტალიისა და მსოფლიოს დიდ საოპერო სცენებზე, მათ შორის იყო თბილისის კონსერვატორიის პედაგოგი ნინო ცერცვაძე, რომელთანაც არა ერთი სიმღერის გაკვეთილი გაიარა ამ სტრიქონების ავტორმაც. „როგორც მასწავლებელმა, ბევრი სიხარული განვიცადე – წერდა ელენე თარხნიშვილი – მთელი ჩემი ცხოვრება საქანელას წააგავს: ხან ზევით მოვექცევი, ხან კი ქვევით მივექანები“.

1953 წელს მარტოხელა, ავადმყოფმა ელენემ მილანში თავისი ბინა-სტუდია გაასხვისა და გარდაცვლილი მეუღლის სიძის, პროფესორ კასტორინის რჩევით მათთან დასახლდა იტალიის სამხრეთში რეჯიო-კალაბრიაში. 1954 წელს რომში გაკეთებულმა ყურის ოპერაციამ და სასმენმა აპარატმა მთლიანად შთანთქა ელენეს ფულადი სახსრები. როცა ნათესავებმა საქართველოში მოიპატიჟეს, იგი ქვითინით სწერდა მათ, რომ ძლიერ დაძაბუნდა და სამშობლოში ნათესავებთან მომაკვდავის ჩამოსვლა დაგვიანებული იყო.

მშობლიურ მიწას და ახლო ნათესავებს მონატრებულმა, ოდესღაც დიდების მწვერვალზე მდგომმა, ჩვენმა საამაყო თანამემამულე ელენე თარხნიშვილმა 1961 წელს უცხოობაში დალია სული. დაკრძალულია იტალიის სამხრეთ ქალაქ რეჯიო-კალაბრიაში.

გელა ძოძიაშვილი,
საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკი, ვანო სარაჯიშვილის ფონდის ვიცე-პრეზიდენტი
ტელ. 551 49 19 97; 234 84 83

„ნეთბუქები“ პირველკლასელთათვის

ახალი სასწავლო წლიდან საჯარო სკოლების ყველა პირველკლასელი საჩუქრად განახლებულ და გაძლიერებულ „ნეთბუქს“ მიიღებს, რაც მათ სწავლა-სწავლების პროცესში საინფორმაციო და ტექნიკური უნარ-ჩვევების განვითარებაში დაეხმარება, – ამის შესახებ ინფორმაციას განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ავრცელებს. უწყების ცნობით, მიმდინარე რეფორმის ფარგლებში, ზოგადი განათლების მიმართულებით ტექნოლოგიების განვითარება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს.

როგორც უწყება განმარტავს, კომპიუტერები აღჭურვილი იქნება „მაიკროსოფტ 365-ის“ ლიცენზირებული პროგრამებით. ასევე გაორმაგდა მყარი დისკისა და ოპერატიული მეხსიერების მოცულობა, რაც უფრო მეტი პროგრამის ინსტალაციისა და გაორმაგებული სიჩქარით მუშაობის საშუალებას მისცემს მოსწავლეებს.

განათლების სამინისტრო ხაზს უსვამს, რომ დღეის მდგომარეობით, ყველა საჯარო სკოლა ჩართულია უსაფრთხო ინტერნეტის ერთიან საგანმანათლებლო ქსელში. წლის ბოლომდე კი თბილისსა და რეგიონებში 400 სკოლა დამატებით უსადენო ინტერნეტით იქნება აღჭურვილი.

„ყველანი ციხეში!“ და ვინ არის უალტერნატივო ალტერნატივა?..

(მესამე გვერდიდან) შემდეგ, დავით გარეჯის რუსეთთან ურთიერთობების, სამხედრო მიუმხრობლობის და სხვა, საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი, მგრძნობიარე თემების ირგვლივ, ორგზის გადაავსეს სპორტის სასახლე, ბათუმის ერას მოედანი, პატრიოტებმა შეძლეს 10 ათასი კაცის მობილიზება უშუალოდ დავით გარეჯის წმინდა ლავრასთან და ა.შ. არის კი ქართულ პოლიტიკურ სპექტრში ისეთი პარტია (ქოცებისა თუ ნაცების სახითაც), რომელიც ხალხის ამ რაოდენობის გამოყვანას შეძლებს?

ეს რაც შეეხება არითმეტიკას და ახლა ზემოთ ნახსენები სუბიექტურობისა თუ ბრალდებების შესახებ...

უმთავრესი ბრალდება – „პატრიოტთა ალიანსი“ ოცნების სატელიტი პარტიაა და ბიძინა ივანიშვილის მიერ ფინანსდება...

რა უნდა ვთქვათ იმის გარდა, რომ ენას ძვალი არა აქვს. ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რომ ბრალდება საფუძვლიანია. რა გამოდის, „ქართული ოცნების“ (რომელიც პროდასავლურობაში ეჯიბრება ნაცებს) სატელიტი დადის მოსკოვში, იძახის არა ნატოს“, არა „ლგბტ-ს“, „კი ეკლესიას“, კი ქართულ ეროვნულ ტრადიციებს და ა.შ. ანუ ყველაფერ იმას არა, რასაც ნეოლიბერალური დემოკრატია ქადაგებს, ამას ქოცნების სატელიტი პატრიოტები ახმოვანებენ? თუ მასეა, მაშინ გაუმარჯოს „ქართულ ოცნებას“ და მის სატელიტ „პატრიოტთა ალიანსს!“

ანდა, რას აფინანსებს ბიძინა ივანიშვილი, პატრიოტების მოსკოვურ ვოიაჟებს რუსეთთან ნორმალური ურთიერთობების დასამყარებლად, რაც საქართველოს გადარჩენის ერთადერთი გზაა? თუ იმას, რომ დავით გარეჯი საქართველოა? ამ საშვილიშვილო აქციას? მაშინ გაუმარჯოს ბიძინა ივანიშვილსაც და მის სატელიტ ირმა ინაშვილსა და დავით თარხან-მოურავს!

ერთი სიტყვით, როგორც მადლიან ქიზიყში იტყოდნენ, ჭკუას წიხლი დაადჭირეთო, მხოლოდ ამის თქმა შეიძლება ასეთ ბრალმდებლებთა მიმართებაში, რადგანაც ისინი მსგავსი ბრალდების გახმოვანებით, ნებსით თუ უნებლიეთ საკუთარ თავს ეწინააღმდეგებიან...

ზემოთ ე.წ. ციხის კადრები ვახსენეთ, რის შესახებაც ვისაც არ ეზარება ყველა საუბრობს, მაგრამ „პატრიოტთა“ მიმართებაში, როგორც წესი, თითქმის არავინ. არადა, ეს თემა სწორედ ის არის, რასაც „საქმემან შენმან გამოგაჩინოს“ ჰქვია და მართლაც: რომ არა ციხის კადრები, მიშიკო დღესაც საქართველოს მეფე იქნებოდა, ოღონდ პრემიერ-მინისტრის კომუფლაჟით?!

ხოლო „ქართული ოცნება“ 15-20 პროცენტით შევიდოდა პარლამენტში, რაც უდავოდ წინ გადადგმული ნაბიჯი იქნებოდა, თუმცა არა იმდენად, რომ ციხეებში ხალხის წამება-გაუპატიურებები მყისიერად შეწყვეტილიყო, როგორც ეს ციხის კადრების ჩვენებისთანავე მოხდა. ამ ვიდეოების მოპოვება მაშინდელი წინააღმდეგობის მოძრაობის (დღეს „პატრიოტთა ალიანსი“) ლიდერების დამსახურებაა.

„ქართული ოცნება“, ბიძინა ივანიშვილი რომ ზემოთ ხსენებული პროცენტების მეტზე არც კი ფიქრობდა, ეს იქიდანაც ჩანს, რომ იგი მოუმზადებელი აღმოჩნდა მოულოდნელად თავსდამტყდარი აბსოლუტური ძალაუფლების ასაღებად და ე.წ. კოჰაბიტაციის თავს მოხვევის ერთ-ერთი მიზეზთაგანი, ეს მოულოდნელობაც იყო. მაგრამ ეს ყველაფერი, თუ ვინ, სად და როდის რა გააკეთა, ცალკე წერილის თემაა...

რა თქმა უნდა, პოლიტიკოსთა მიერ მრავალგზის მოტყუებულ, აბუჩად აგდებულ ქართველ ხალხს ლეგიტიმური უფლება აქვს, რომ არც „პატრიოტთა ალიანსის“ რიტორიკა ირწმუნოს, მაგრამ, სამწუხაროდ, ისეა ეს ქვეყანა მოწყობილი, რომ პოლიტიკოსთა გარეშე შეუძლებელია სახელმწიფოს არსებობა და რადგანაც ამ ქვეყნად ყველაფერი შედარებითია, მეც აქედან გამომდინარე ვაკეთებ არჩევანს – ქართულ პოლიტიკურ ველზე, მე, როგორც სულით და გულით ეროვნულ-ტრადიციონალისტ-კონსერვატორი, „პატრიოტთა ალიანსზე“ უკეთეს ძალას ვერ ვხედავ!

დავით მხეიძე

„ჭკვიანი“ კამერები მთელ საქართველოში

შინაგან საქმეთა სამინისტრომ საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების დაცვის და ავტოსაგზაო შემთხვევების პრევენციის მიზნით, სიჩქარის მზომი სექციური „ჭკვიანი“ კამერები გურიის, სამეგრელოსა და ზემო სვანეთის ტერიტორიაზე კიდევ 11 ადგილზე აამოქმედა.

შსს-ის ინფორმაციით, ასევე, ბოლო პერიოდში, საავტომობილო სიჩქარის მზომი სექციური „ჭკვიანი“ კამერები მცხეთა-მთიანეთის რეგიონის ტერიტორიაზე კიდევ ექვს ადგილას ამოქმედდა, ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე – ოთხ ლოკაციაზე, სამეგრელოსა და ზემო სვანეთის რეგიონის ტერიტორიაზე – რვა , სამცხე-ჯავახეთის ტერიტორიაზე კი – ორ ლოკაციაზე.

სამინისტრო აცხადებს, რომ სიჩქარის სექციური კონტროლის სისტემით მთელი ქვეყნის მასშტაბით, უკვე 652 კმ სიგრძის საავტომობილო გზა გაკონტროლდება. ამ დროისთვის სრული დატვირთვით მუშაობს 3820 ვიდეოკამერა, რომელთაგანაც 1230 ნომრის ამომცნობია, ხოლო 2590 – ზოგადი ხედვის ვიდეოკამერა.

ამასთან, 2019 წლის ბოლომდე, უწყების მიერ საქართველოს ტერიტორიაზე სულ ამოქმედდება 5 000-მდე ვიდეოკამერა, მათ შორის 2 100 ე.წ. „ჭკვიანი“ ვიდეოკამერა, ხოლო სიჩქარის მზომი სექციური მოწყობილობებით გადაფარული იქნება საავტომობილო გზის 700 კმ-მდე მონაკვეთი.

ტენდერი ბაგა-ბაღების საკვებით მომარაგებაზე

ტენდერის პირობების თანახმად, წინადადებების მიღება 14 აგვისტოს დაიწყება და 16 აგვისტოს დასრულდება. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება თბილისის მარჯვენა სანაპიროსთვის 17 002 058 ლარია, მარცხენა სანაპიროს შემთხვევაში კი, 43 265 221 ლარი.

პრეტენდენტს მოეთხოვება, ბაგა-ბაღების საკვებით მომარაგება 2019 წლის 16 სექტემბრიდან 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით განახორციელოს.

ტენდერის პირობებში აღნიშნულია, რომ საკვები პროდუქტის ხარისხი უნდა აკმაყოფილებდეს ქვეყანაში არსებულ სტანდარტებსა და „ტექნიკურ დავალებაში“ გაწერილ ტექნიკურ და ხარისხობრივ მაჩვენებლებს; ხორცის პროდუქტები (საქონლის ხორცი და ქათამი) უნდა იყოს არაგაყინული, ყოველ შეტანილ პროდუქციას უნდა ახლდეს ვეტერინარული მოწმობები (ფორმა №2). პროდუქციის უვნებლობა და ხარისხი უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს და მოქმედ სტანდარტებს.

პრეტენდენტს 2016 წლის 1 იანვრიდან უნდა გააჩნდეს საკვები პროდუქტების მიწოდების არანაკლებ 10 000 000 ლარის ღირებულების გამოცდილება. უნდა ჰქონდეს საერთაშორისო ISO 9001:2008 ან ISO 9001:2015 ან ISO 22000 (სურსათის უვნებლობის მართვის სისტემის) მოქმედი სერტიფიკატი.

ახალი ტენდერის გამოცხადებამდე, შესყიდვებს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები თავად ახორციელებდნენ. 27 მაისიდან კი მერიამ აღნიშნული სერვისის მიმწოდებლად ახალი ტენდერის გამოცხადებამდე კომპანია „მზიური“ შეარჩია.

თხილის წარმოება სამი ქვეყნის პრიორიტეტად ითვლება

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ლევან დავითაშვილი თურქეთის რესპუბლიკაში იმყოფებოდა.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, ვიზიტის ფარგლებში, სტრატეგიული თანამშრომლობის სამმხრივი დეკლარაცია გაფორმდა

თურქეთს, საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის.

დეკლარაციის თანახმად, თხილის წარმოების მიმართულებით სამი ქვეყანა უფრო აქტიურად ითანამშრომლებს.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო აცხადებს, რომ თხილი საქართველოს, თურქეთისა და აზერბაიჯანისთვის მნიშვნელოვანი საექსპორტო აგრარული პროდუქტია. სამმხრივი თანამშრომლობის ფორმატის მიზანია წარმოებისა და ხარისხის ამაღლება, მოსავლიანობის გაზრდისათვის სამეცნიერო პოტენციალის მაქსიმალური გამოყენება, ტექნიკური და ტექნოლოგიური თანამშრომლობის უზრუნველყოფა.

მხარეებმა აღნიშნული მიმართულებით თანამშრომლობის პოზიციები შეაჯერეს, რომელიც დარგის განვითარებასა და წარმოების ზრდაზეა ორიენტირებული.

კეთილ და მართალ საქმეთა მკეთებელი

საქართველოს დამსახურებულ ჟურნალისტს, ფილოლოგიის დოქტორს, პროფესორ **დავით (დათო) წერეთელს** 75 წელი შეუსრულდა.

დავით წერეთლის ბიოგრაფია და განვლილი გზა ნათლად წარმოაჩენს მისი, როგორც საყოველთაოდ აღიარებული ქართული ტრადიციების მატარებელი კაცის თვისებებს, თავისი მრავალფეროვანი საინტერესო შტრიხებით თუ დეტალებით. მის ცხოვრებაში არსებული არაერთი ბედნიერებით სავსე და წარმატებული პერიოდების თანამდევი იყო ასევე ქარტეხილები და განსაცდელები, რომლებმაც ვერ გატეხეს მისი მებრძოლი ხასიათი და იგი დღესაც ჩვეული შემართებით კეთილსინდისიერად ემსახურება თავის ქვეყანას, ხალხს.

უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ იგი 1967 წლიდან აქტიურად ჩაება შრომით და საზოგადოებრივ ცხოვრებაში; სხვადასხვა დროს საქმიანობდა ახალგაზრდულ, პარტიულ და სამეურნეო ორგანიზაციებში საპასუხისმგებლო თანამდებობებზე. 1982-1991 წლებში მუშაობდა ქუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილედ. 1992 წლიდან იგი იყო გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ საკუთარი კორესპონდენტი ქუთაისის ზონაში. აღსანიშნავია ის, რომ ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, უნივერსიტეტის იმჟამინდელ ხელმძღვანელობასთან ერთად, მან საფუძველი ჩაუყარა ჟურნალისტიკის სპეციალობას და იყო ამ სპეციალობის პირველი განყოფილების გამგე, პარალელურად, ასრულებდა ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანის მოადგილის მოვალეობას. იგი ორგანიზაციულ-პედაგოგიურ საქმიანობასთან ერთად, ეწეოდა სამეცნიერო საქმიანობას. ამ მხრივ აღსანიშნავია მისი მონოგრაფია, რომელიც მიეძღვნა ქუთაისში 1911-1913 წლებში გამომავალ პირველ ყოველდღიურ გაზეთს „კოლხიდას“.

საქართველოს დამოუკიდებლობის საწყის ეტაპზე, ქართული ბიზნესის განვითარების მიზნით, მან პარტნიორებთან ერთად დააფუძნა საქართველოში ერთ-ერთი პირველი საქართველო-საბერძნეთის საერთაშორისო კომპანია „პირ-აია ინტერნაციონალი-ლტდ“. 1994-1997 წლებში მუშაობდა საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკური წარმომადგენლის მოადგილედ საბერძნეთში, იყო საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის მრჩეველი მასმედიის საკითხებში.

დავითი სევდანარევი სიამაყით იგონებს ქუთაისის მაღალი რანგის ხელმძღვანელობაში მოღვაწეობის თოთხმეტწლიან პერიოდს. სწორედ მათი საქმიანობის შედეგი იყო ის, რომ 1980-იან წლებში ქუთაისმა ხელშესახები გამარჯვებები მოიპოვა ხელოვნების, ლიტერატურის, თეატრის, სპორტის, ჯანმრთელობის, განათლებისა და მეცნიერების დარგებში. ამ წლებს თამამად შეიძლება ეწოდოს სოციალურ-ეკონომიკური და სულიერი ცხოვრების არნახული ამაღლების წლები.

დავითი განსაკუთრებით და მოკრძალებულად იხსენებს გელათის სამონასტრო კომპლექსში წმინდა მარიამ ღვთისმშობლის ცნობილი ფრესკის პირველ სარესტავრაციო სამუშაოებს, ამ უძვირფასესი ისტორიული ძეგლის და კიდევ ქუთაისში განლაგებული ხუთი საეკლესიო დანიშნულების ობიექტის ქუთაის-გაენათის ეპარქიისთვის გადაცემის პერიპეტიებს, რომლებიც საბჭოთა პერიოდისათვის უჩვეულო და სარისკო გადაწყვეტილება იყო.

თანამოაზრეებთან ერთად, დავითმა თავისი მოკრძალებული წვლილი შეიტანა საქართველოში თანამედროვე ევროპული ქვეყნების შესატყვისი სადაზღვევო საკანონმდებლო სივრცის შესაქმნელად, ახალი სადაზღვევო რეალობის და სისტემის დასანერგად. 1997-2000 წლებში მუშაობდა საქართველოში პირველად შექმნილი „დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის“ უფროსის მოადგილედ, 2001-2009 წლებში კი სსიპ „საქართველოს საავალდებულო დაზღვევის ბიუროს“ თავმჯდომარედ.

სწორედ დაზღვევის სფეროში საქმიანობის პერიოდში, განსაკუთრებით 2007 წლიდან დავით წერეთელმა მ. სააკაშვილის ხელისუფლების მიმართ დაიკავა შეურიგებელი და უკომპრომისო დამოკიდებულება, ამ რეჟიმის მიერ დაზღვევის სფეროსადმი სახელმწიფოებრივად გაუმართლებელი დამოკიდებულებების გამო, რომელიც გამოიხატებოდა დარგის დაკნინებასა და აბუჩად აგდებაში, რომელიც შემდგომში ორმხრივად მიუღებლობის და დაპირისპირების მიზეზი გახდა.

აღნიშნულ პერიოდს დაემთხვა 2009 წლის 9 მაისს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებული მიმართვა ქართველი ხალხისადმი, რომლის სათაურიც იყო: „ჩვენ ვადანაშაულებთ პრეზიდენტ სააკაშვილს“ ... სხვა ცნობილ ადამიანებთან ერთად მიმართვას ხელს დავით წერეთელიც აწერდა, იგი დაუფარავად ააშკარავებდა ქვეყანაში არსებულ ანტისახელმწიფოებრივ, ანტიქართულ ვითარებას, ხელმომწერები ითხოვდნენ სააკაშვილის დაუყოვნებლივ გადადგომას.

სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება, კერძოდ დავითის მიერ დაზღვევის სფეროსადმი არასახელმწიფოებრივი მიდგომის ფაქტების გამოაშკარავება და სააკაშვილის გადადგომის მიმართვაზე ხელმოწერა გახდა საბაბი იმისა, რომ სააკაშვილის „დემოკრატიულმა რეჟიმმა“ ბატონ დავითს 2010 წლის იანვარში იმ პერიოდისათვის დამახასიათებელი ვითარების შესაბამისად უსაფუძვლო, არარსებული, ყალბი და ცრუ ბრალდების საფუძველზე სამოცდათოთხმეტი დღე უკანონოდ შეუზღუდა თავისუფლება და დღემდე, ცხრა წელზე მეტია, ვერ მიაღწია სამართლიანი მართლმსაჯულების აღსრულებას. შურისმაძიებელთა მიერ შეგნებულად მიყენებულმა მორალურმა, ფიზიკურმა და ეკონომიკურმა ზიანმა ვერ გატეხა დავითის რწმენა და ბრძოლისუნარიანობა.

სამართლიანობისა და სიმართლის დადგენისათვის ბრძოლის პარალელურად, იგი დღესაც შესანატრი ენერგიით მოღვაწეობს ჟურნალისტურ, სამეცნიერო-პედაგოგიურ და საზოგადოებრივ ასპარეზზე. მუშაობს საინფორმაციო სააგენტო „კომერსანტში“ კონსულტანტად, მედიაში პერიოდულად ქვეყნდება მისი პუბლიცისტური მასალები, ამჟამად არჩეულია საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის გამგეობისა და პრეზიდიუმის წევრად. საგულისხმოა ის გარემოება, რომ იგი გასული საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებშიც საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის იმერეთის ორგანიზაციის პირველი თავმჯდომარე გახლდათ, იყო საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილე და ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციის წევრი. არჩეული იყო არაერთი პერიოდული გამოცემის რედკოლეგიის წევრად, მათ შორის: ჟურნალი „განთიადი“ და გაზეთი „ბანკები და ფინანსები“.

ჟურნალისტიკის სფეროში აქტიური საქმიანობისთვის მას მინიჭებული აქვს საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტის წოდება, არის ქართული ჟურნალისტიკის ფუძემდებლების ნიკო ნიკოლაძის და სერგეი მესხის პრემიების ლაურეატი, ქართული ჟურნალისტიკის წინაშე დამსახურებისათვის იგი 1999 წელს დაჯილდოვდა „ღირსების ორდენით“. მიღებული აქვს ასევე განათლების წარჩინებულის საპატიო წოდება.

დავით წერეთლის, როგორც პიროვნების, პროფესიონალი ჟურნალისტის წუხილს და საფიქრალს წარმოადგენს ის, რომ 1990-იანი წლებიდან მოყოლებული, განსაკუთრებით კი 2004 წლიდან ქართული ჟურნალისტიკა გამიზნულად და ხელოვნურადაა კრიზისში შეყვანილი. დღეს მისი და მისი თანამოაზრეების საქმიანობის განსაკუთრებული ზრუნვის საგანი ამ კრიზისის დაძლევის გზების ძიებაა.

ძვირფასო დავით,

ჩვენო ღირსეულო მეგობარო და კოლეგა, თქვენი გამოთქმისა არ იყოს: „ღმერთმა კეთილი და მართალი საქმეების კეთებისათვის ძალა და ენერგია არ გამოგილიოს...“ გისურვებთ მომავალშიც წარმატებულ მოღვაწეობას, გამარჯვებული და ბედნიერი გვენახეთ თქვენს საყვარელ ოჯახთან, მეუღლესთან, შვილებთან, შვილიშვილებთან და შვილთაშვილებთან ერთად. დასასრულ, კიდევ ერთხელ თქვენივე სიტყვებით შემოგძახებთ: „ძმაო შორს შენგან და ჩვენგან ავისმქმნელები და პესიმიზმი, წინ უეჭველად წარმატებული, ჭეშმარიტად დემოკრატიული საქართველო გველოდება...“

საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის გამგეობა და პრეზიდიუმი; გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“; საინფორმაციო სააგენტო „კომერსანტი“

ალეკო, ოთარ, ჯემალ, გოგი, დათო ნადირაშვილები 80 წლის იუბილეს ულოცავენ შესანიშნავ პიროვნებას, ჭეშმარიტ მამულიშვილს, აკადემიკოსს, საქართველოს დამსახურებულ ინჟინერს, სრულიად საქართველოს „ნადირაშვილთა საგვარეულო კავშირის“ თავმჯდომარეს, საქართველოს საპატრიარქოს „გვარი და გვარიშვილობის“ კავშირის თავმჯდომარეს

ვაჟა ნადირაშვილს

და უსურვებენ ჯანმრთელობას, სანგრძლივ სიცოცხლეს თავისი ოჯახისა და სამშობლოს საკეთილდღეოდ.

ადაპტირებული პლაჟი ბათუმში

რესტორან „ძველი გემის“ მოპირდაპირედ არსებული ლოკაცია ადაპტირდა და საპლაჟო ინფრასტრუქტურა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საჭიროებებს მოერგო. ეტლით მოსარგებლე პირებისთვის ზღვაში შესასვლელი ხუთი საცურაო ტივტივა ეტლი სსიპ „ბათუმის ბულვარმა“ შეიძინა. ტივტივა ეტლით სარგებლობა მომხმარებლებისთვის უფასო იქნება.

2019 წლის ადაპტირებული ინფრასტრუქტურული პროექტის ფარგლებში, სსიპ „ბათუმის ბულვარის“ მიერ სანაპირო ზოლზე მოეწყო ადაპტირებული ბილიკი, საშხაპე-გამოსაცვლელი და საზოგადოებრივი საპირფარეშო. პროექტი საქართველოში პირველად ხორციელდება და ინკლუზიური ტურიზმის განვითარებასა და შშმ პირთა თანაბარ ხელმისაწვდომობას ემსახურება.

პირველი სასტუმრო მუხურში

საკურორტო სოფელ მუხურში პირველი სასტუმროს მშენებლობა მიმდინარეობს. სამშენებლო პროცესს, სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებული ალექსანდრე მოწერელია პირველ მოადგილე დავით ფარცვანიასთან და ჩხოროწყუს მერთან ერთად გაეცნო.



სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის ინფორმაციით, მუხურის ცენტრში მაღალი კლასის, ევროპული სტილის 30-ნომრიანი სასტუმრო შენდება. სასტუმრო კომპანია Mukhuri Resort-ის მიერ ფინანსდება. სამუშაოებს „თორი სტუდიო“ ასრულებს. ინვესტიციის ოდენობა 4 მილიონ ლარს აღემატება. ამ ეტაპზე სამუშაოებში დასაქმებულია 30-ზე მეტი ადამიანი. პროექტის დასრულების შემდეგ კი აქ 50-მდე მოქალაქე დასაქმდება. პროექტის ფარგლებში, სოფელ მუხურში, იგეგმება ასევე მეორე, მაღალი სტანდარტების სასტუმროს მშენებლობაც.

თანამედროვე სტანდარტების სკვერი ავტოფარეხების ადგილზე

ისნის რაიონის გამგეობამ ვაზისუბანში, ონაშვილის №9-ის მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც ადგილობრივი მოსახლეობის მხარდაჭერით ავტოფარეხების დემონტაჟი განხორციელდა, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სკვერი მოაწყო.

მერიის ინფორმაციით, პროექტის ფარგლებში, რეკრეაციულ სივრცეში ბავშვთა გასართობი მოედანი განთავსდა, სადაც სხვადასხვა ტიპის ატრაქციონი დამონტაჟდა. ასევე, მოეწყო კალათბურთისა და ფეხბურთის სპორტული მოედანი, დამონტაჟდა მოსასვენებელი სკამები და სანაგვე ურნები.

სკვერის ტერიტორიაზე მოეწყო საფეხმავლო ბილიკები და ტერიტორია დეკორატიული ფილებით მოპირკეთდა; დამონტაჟდა LED განათების სისტემა; ჩატარდა გამწვანების სამუშაოები; სპორტისა და ჯანსაღი ცხოვრების ხელშეწყობის მიზნით, მოეწყო ფიტნეს ზონაც.



რეკრეაციული სივრცის მოწყობისთვის ისნის რაიონის გამგეობის ბიუჯეტიდან 50 215 ლარი დაიხარჯა.

◎ ფეხბურთი

თევზი თავიდან ყარს

უდავოა, რომ ფულის შოვნას თავისებური ნიჭი სჭირდება, მაგრამ არანაკლებ უნარს მოითხოვს მისი ყაირათიანად ხარჯვა.

თბილისის „დინამოს“ მარიფათიანმა პრეზიდენტმა რომან ფიფიამ, რომ იტყვიან, ათიანში გაარტყა, როცა ჩვენს საამაყო კლუბს თითით საჩვენებელი ინფრასტრუქტურა და ბავშვთა აკადემია გაუშანსა, მაგრამ რაც შეეხება თვით გუნდის სელექციას, ამ მხრივ, რბილად რომ ვთქვათ, მთელი რიგი კითხვის ნიშნები ჩნდება, რაც „თეთრ-ლურჯთა“ არაკეთილმოსურნეებს (სხვებსაც) საქილიკოდ მშვენიერ საბაბს აძლევს. მაგალითად, ასეთს — დიღმის ბაზაზე ძირითადად მხოლოდ ჩამოწერილ ლეგიონერებსა (უმეტესწილად — ესპანელებს) და თავისივე წარმომავლობის ახალგაზრდა ტალანტებს იწვევსო (მერედა, რა არის ამაში ცუდი? — **რედ**).

მოგეხსენებათ, ენას ძვალი არა აქვს და ყბადაღებული სიტყვის თავისუფლებითაც ბევრი ბოროტად სარგებლობს, მაგრამ, დაგვეთანხმებით, მათთვის სუსხიანი პასუხის გასაცემად საუკეთესო საშუალებად ტაბლო ითვლება.

და აი, მივადექით იმ ორმოს, სადაც ძალღლის თავია დამარხული: თუ დინამოელთა ამჟამინდელი კონტინგენტის სათამაშო კლასი საკმარისია ეროვნულ ლიგაში საბაირამოდ და, თქვენ წარმოიდგინეთ, ევროპელ მაჩანჩალებთან უპრობლემოდ გასამკლავებლადაც კი, მხოლოდ გულისტკივილი და სირცხვილი მოაქვს არა მარტო ელიტასთან, არამედ საშუალო დონის წვრილფეხობასთან უთანასწორო ბრძოლებსაც.

საილუსტრაციოდ საბედისწერო 8 აგვისტოს (რუსეთთან ხუთდღიანი ომობანას დაწყების თარიღს რომ თავი დავანებოთ, ამჯერად, „დინამოს“ გარდა, ჩვენი ქვეყნის ხელბურთელ გოგონათა ნაკრები და წამყვანი ჩოგბურთელი ნიკოლოზ ბასილაშვილიც დამარცხდნენ) როტერდამის „დე კუიპზე“ კატასტროფულად განვითარებული მოვლენებიც კმარა, სადაც „ფეიენოორდმა“ 38 წლის შემდეგ მსუყე რევანშით გვიპასუხა, ოღონდ — ევროპალიგაში.

არადა, იყო მთელი რიგი ფაქტორები, რომლებიც სტუმართა ქომაგებს ფუჭი, თუ უფრო ობიექტურნი ვიქნებით — ყოველგვარ საფუძველს მოკლებული ოპტიმიზმით აღავსებდა: აქაოდა, ჰოლანდიურ გრანდს პრაქტიკა აკლია, რადგან იქაური ჩემპიონატი ახლახან დაიწყო და სათანადო კონდიციები ჯერ არ აუკრეფავსო; ან — მას მთელი რიგი ტრავმირებული ვარსკვლავები აკლია, ახლები კი ძველებთან შეთამაშებულნი არ არიანო; კიდევ უფრო აბსურდულად გამოიყურებოდა ძალადმაცხონეობის მორიგი კლასიკური მაგალითი — ჩვენი მოძმე უკრაინელი მსაჯი ბოიკო არ გაგვწირავსო; და ასე შემდეგ.

რატომღაც კანტიკუნტად თუ გაისმოდა თავმოყვარე ნიდერლანდელთაგან ვენდეტას აღების დაუოკებელი სურვილი, რომლებსაც იმ დაუვიწყარ 1981 წელს განკითხვის დღე(ები) მოვუწყვეთ.

ზოგ-ზოგიერთებმა შეიძლება გარკვეული მნიშვნელობა მატჩის დაწყების წინ გავრცელებული ინფორმაციით მიყენებულ ფსიქოლოგიურ დარტყმას მიანიჭონ — „გაბალასთან“ თბილისურ შეხვედრაში დინამოელთა გულშემატკივრების მიერ გამოთქმული რასისტული შეძახილების გამო უეფამ 50 ათას ევროსთან ერთად „ფეიენოორდთან“ 15 აგვისტოს თამაშზე ცარიელი ტრიბუნებით დაგვსაჯაო, — მაგრამ უმთავრესი ფაქტი ფაქტად რჩება — ჩვენ და ისინი სხვადასხვა წონით კატეგორიაში გამოვდივართ, საშემსრულებლო ოსტატობა კი ისეთი რამაა, გადამწყვეტ გავლენას რომ ახდენს შედეგზე.

ამიტომ მადლიერნი უნდა ვიყოთ, მასპინძლებმა 4:0 რომ გვაკმარეს.

გიორგი ზოთაძე

◎ ხელბურთი

მედლებს უჩვეულოდ გაითამაშებენ

ხვალ თბილისის სპორტის სასახლეში მთავრდება 17-წლამდელ ხელბურთელ გოგონათა ევროპის ჩემპიონატი, რომელშიც 10 გუნდი მონაწილეობს. ჯგუფური ეტაპის ბოლო ტურში საქართველოს ნაკრები შეჯიბრების ფავორიტ შვეიცარიასთან, რომელმაც ამას წინათ ბაქოში გამართული ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური ფესტივალის 8 უძლიერეს გუნდს შორის მეოთხე ადგილი დაიკავა, 13-ბურთიანი სხვაობით დამარცხდა.



ეს არც ყოფილა მოულოდნელი, რადგან ჩვენს გუნდს ორი ლიდერი აკლდა — ნენო ჯგერენაია და ლიზი ჩხაიძე. ჯგერენაია ტრავმის გამო სტარტზევე გამოეთიშა შეჯიბრებას, ხოლო ჩხაიძემ წინა თამაშში წითელი ბარათი მიიღო და ჯგუფური ეტაპის ბოლო ორთაბრძოლა გამოტოვა. წაგების მიუხედავად, ჩვენებს სპეციალისტებსა და ქომაგებზე ცუდი შთაბეჭდილება ნამდვილად არ დაუტოვებიათ. განსაკუთრებით ორი 15-წლამდელი გოგონა გამოირჩა — სამტრედიელი თამარ ბურკაძე და ყვარელელი ანა სურამლიშვილი, რომლებმაც 5-5 ბურთი შეაგდეს. ჟიურიმ ქართველთაგან მატჩის საუკეთესო მოთამაშედ სწორედ გუნდის კაპიტანი ბურკაძე დაასახელა.

ევროპის ხელბურთის ფედერაციის აღმასკომის წევრმა **ერჟი ელიაშმა** ჩვენთან საუბარში ხაზი გაუსვა ჩემპიონატის შესანიშნავ ორგანიზაციას — საქართველოს ხელბურთის ფედერაციამ და მისმა ხელმძღვანელმა **ზურაბ კაკაბაძემ** ყველაფერი გააკეთეს საიმისოდ, რომ სტუმრებმა კომფორტულად იგრძნონ თავი. მანვე ისიც აღნიშნა, რომ ტურნირში სხვებისგან ოთხი გუნდი — შვეიცარია, სერბეთი, უკრაინა და ლიეტუვა გამოირჩევა, თუმცა, შესაძლებელი იყო, ამ ოთხეულში საქართველო მოხვედრილიყო, რომ არა პირველ ტურში ლიეტუვასთან დასანანი მარცხი...

შაბათ-კვირას სპორტის სასახლეში ჩემპიონატის ნახევარფინალური და ფინალური პაექრობები გაიმართება.

A ჯგუფი

I ტური. სერბეთი — ფარერები 30:26, უკრაინა — საბერძნეთი 19:18
II ტური. ფარერები — ბულგარეთი 37:20, საბერძნეთი — სერბეთი 13:24
III ტური. ბულგარეთი — უკრაინა 20:30, ფარერები — საბერძნეთი 23:23
IV ტური. ბულგარეთი — საბერძნეთი 30:39, უკრაინა — სერბეთი 20:33
V ტური. უკრაინა — ფარერები 26:26, სერბეთი — ბულგარეთი 44:16

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
სერბეთი	4	4	0	0	131:75	8
უკრაინა	4	2	1	1	95:97	5
ფარერები	4	1	2	1	112:99	4
საბერძნეთი	4	1	1	2	93:96	3
ბულგარეთი	4	0	0	4	86:150	0

B ჯგუფი

I ტური. ლიეტუვა — საქართველო 28:19, შვეიცარია — ლატვია 39:20
II ტური. საქართველო — ფინეთი 23:22, ლატვია — ლიეტუვა 18:28
III ტური. საქართველო — ლატვია 24:21, ფინეთი — შვეიცარია 15:42
IV ტური. ფინეთი — ლატვია 29:27, შვეიცარია — ლიეტუვა 31:19
V ტური. საქართველო — შვეიცარია 18:31, ლიეტუვა — ფინეთი 34:23

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
შვეიცარია	4	4	0	0	143:72	8
ლიეტუვა	4	3	0	1	109:91	6
საქართველო	4	2	0	2	84:102	4
ფინეთი	4	1	0	3	89:126	2
ლატვია	4	0	0	4	86:120	0

10 აგვისტო, ნახევარფინალები. 11:00 (IX-X ადგილებისთვის) ბულგარეთი — ლატვია, 13:00 (V-VIII) ფარერები — ფინეთი, 15:00 (V-VIII) საქართველო - საბერძნეთი, 17:00 (I-IV) სერბეთი — ლიეტუვა, 19:00 (I-IV) შვეიცარია — უკრაინა.

ლაშა დიდია

◎ ჭიდაობა

პირველი ფინალური დღის ნადავლი



თბილისის ოლიმპიურ სასახლეში გრძელდება გივი კარტოზიასა და ვახტანგ ბალავაძის მემორიალი თავისუფალსა და ბერძნულ-რომაულ ჭიდაობებში, სადაც საასპარეზოდ თავი მოიყარეს 15 ქვეყნის (საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი, ირანი, საფრანგეთი, ინდოეთი, სერბეთი, უკრაინა, სლოვაკეთი, შვედეთი, აშშ, ყაზახეთი, ჩრდ. მაკედონია, უზბეკეთი და ყირგიზეთი) წარმომადგენლებმა.

მასპინძელთაგან უფრო წარმატებით თავისუფალი სტილის ფალავნები გამოდიან, რადგან შეჯიბრებაში ლიდერთა უმეტესობა მონაწილეობს. ეს მათთვის მსოფლიოს ჩემპიონატისთვის შესარჩევი ტურნირია, „კლასიკოსებს“ კი წლის მთავარ პირველობაზე წამსვლელთა ვინაობა, ფაქტობრივად, გარკვეული აქვთ.

პირველ ფინალურ დღეს „თავისუფალში“ ოთხი ჩვენებური იბრძოდა ოქროს მედლებისთვის. მათგან ორი ირანელს, ორიც აზერბაიჯანელს შეხვდა. 61 კილოგრამ წონით კატეგორიაში ევროპისა და მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონმა ბექა ლომთაძემ გადამწყვეტ პაექრობაში აზერბაიჯანელთა მსოფლიოს მესამე პრიზიორ აჰმედნაბი გვარზატილოვს 7:4 აჯობა და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. 79 კილოში მსგავს წარმატებას მიაღწია ზურაბ ერბოწონაშვილმა, რომელმაც ფინალში ირანელ ბაჰმან თეიმოურის 4:2 მოუგო. ევროპის მესამე პრიზიორები — კოტე ხაბალაშვილი (70) და ირაკლი მწითური (92), შესაბამისად, ირანელ ემამიჩოგაეი იონესსა და აზერბაიჯანელ შამილ ზუბაიროვთან დამარცხდნენ. ბრინჯაოს მედლები მიხეილ ბერძნიშვილმა (61 კგ), მირზა სხულუხიამ (70 კგ), ლევან ქელეხსაშვილმა (70 კგ.), ტარიელ გაფრინდაშვილმა (79 კგ) და ბექა ნადაშვილმა (92 კგ) მოიპოვეს.

დავძენთ, რომ კლასიკოსთა 72 კილოს ქართულ ფინალში გიორგი ხუჭუამ მურად მიქელაძეს სძლია.

ლექსო ციცაძე

◎ ჩოგბურთი

კორტი თავაწეულმა დატოვა

ნიკოლოზ ბასილაშვილი მონრეალის „მასტერსს“ მერვედფინალიდან გამოეთიშა, მაგრამ მის გასაკრიტიკებლად ენა არ მოგიბრუნდება კაცს.

როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს პირველმა და მსოფლიოს მე-17 ჩოგანმა საერთაშორისო რეიტინგის მე-5 ნომერ ალექსანდრ ზვერევს ახლახან მისივე მშობლიური ჰამბურგის კორტზე სძლია და ამჯერადაც ახლოს იყო მიზანთან, მაგრამ გერმანელმა თანაბარ ბრძოლაში მაინც მოახერხა რევანშის აღება — 7:5, 5:7, 7:6. შეხვედრა ორ საათსა და 48 წუთს გაგრძელდა.

ჩვენი თანამემამულე მხოლოდ ამ დრამატული დუელის პირველ პარტიაში გამოიყურებოდა მეტოქესთან შედარებით რანგის შესაბამისად, როცა პირველ მოწოდებაზე 34-დან მხოლოდ 18 ქულა აიღო, ხოლო მეორე მოწოდებაზე — 20-დან — 9.

აქედან მოყოლებული, მან მდგომარეობა გამოასწორა და ბოლომდე ღირსეულად უმკლავდებოდა ფავორიტს. კერძოდ, ჯერ მეორე სეტის მეცხრე გეიმში 0:40-დან გადაარჩინა საკუთარი მოწოდება, მერე კი ჯამში ოთხი ბრეიკ-პოინტი მოიგერია. რაც შეეხება გადამწყვეტ პარტიას, ბასილაშვილმა მერვე გეიმში მშრალი ანგარიშით შეასრულა უკუბრეიკი და კიდევ ერთხელ გათანაბრა ანგარიში — 4:4, მაგრამ...

დავძენთ, რომ იმავე ნავსიან დღეს ნიკა გერმანელ იან-ლეონარდ შტრუფთან ერთად წყვილთა ტურნირსაც გამოეთიშა კაილ ედმუნდ-ტეილორ ფრიტცის ინგლისურ-ამერიკულ დუეტთან მარცხის გამო — 3:6, 4:6.

ვიტალი ჯაფარიძე

ხსოვნა

„პალიმფსესტზე დაჩნეული ლამაზი სული“

მარინა ჯიქია

გარდაიცვალა ლიტერატურის დოქტორი, საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ლიტერატურული თეატრის „ოქროს საწმისის“ სამხატვრო ხელმძღვანელი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქალთა ასოციაციის ერთ-ერთი დამფუძნებელი და წევრი **მარინა ჯიქია**, რომელიც 50 წელზე მეტი ეწეოდა პედაგოგიურ და სამეცნიერო მოღვაწეობას ტექნიკური უნივერსიტეტის ენების კათედრაზე.

მარინა ჯიქიას დასახასიათებლად გვსურს, გამოვიყენოთ ამონარიდი წლების წინ ჟურნალ „ხელოვნებაში“ გამოქვეყნებული, ცნობილი ქართველი მსახიობის ჯემალ მონიავას მისადმი მიძღვნილი ესედან — „ლამაზი სული პალიმფსესტზე დაჩნეული“: „დადის ქალაქში საოცრად მომხიბლავი ქალბატონი. მისი დახვეწილი კილო, ხმის მომხიბლავი ტემბრი, არისტოკრატიული ინტონაცია და ჟესტი მიგახვედრებთ, რომ თქვენს წინაშე ნამდვილად გამორჩეული და არაორდინარული პიროვნებაა.

მისი ყოველი ფრაზა გაჟღენთილია კოლხური სასიმღერო ინტონაციით და თუ საუბარი ლიტერატურას ეხება, აქ მის შესაძლებლობებს სამანი არ გააჩნია, მისი მომამჯადოებელი აურა გაბრუებთ და ინუსხებით ქალბატონის განსწავლულობით. ამაყიც არის, მოკრძალებულიც და გამორჩეულიც, ამაღლებული სულით, მასში არის რაღაც გარდასული საუკუნეებიდან: იდუმალი, არაამქვეყნიური.

მარინა ჯიქიას პედაგოგიური, მხატვრული ლიტერატურული ხედვა გნუსხავთ, იგი მუსიკით ცოცხლობს, მხატვრობით სუნთქავს, პოეზიით სულდგმულობს და, საერთოდ, მშვენიერებით არსებობს. მასში თავმოყრილია ქართველი ქალის ყოველგვარი სიკეთე, სიდარბაისლე და სინატიფე სულისა“.

ძნელია, რაიმე დაუმატო აქ მოყვანილ მარინა ჯიქიას ჯემალ მონიავასეულ დახასიათებას, გარდა იმისა, რომ ის იყო უმშვენიერესი და თავისი ელეგანტურობით გამორჩეული. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხელმძღვანელობისა და ქალთა ასოციაციის ხელშეწყობითა და დახმარებით მარინა ჯიქიას ჩატარებული აქვს 40-ზე მეტი მაღალმხატვრული ლიტერატურული საღამო-სპექტაკლი. მათ შორის: „შოთა რუსთაველი“, „თამარიანი“, „ილია ჭავჭავაძე“, „კონსტანტინე გამსახურდია“, „ირაკლი აბაშიძე“, „ანაობა“, „ელენე ახვლედიანი“, „სერგეი ესენინი“, „ანდრეი ბელი“ და ა.შ.

ლიტერატურული სპექტაკლები ტარდებოდა როგორც თბილისში, ასევე საქართველოს სხვადასხვა ქალაქში — ბათუმში, ქუთაისში, ახალციხეში, მესტიაში, ყაზბეგში, ხოლო მოსკოვში დიდი წარმატებით ჩატარდა ლიტერატურული სპექტაკლები „ელენე ახვლედიანი“ და „ანდრეი ბელი“.

მარინა ჯიქია იყო ყველა ლიტერატურული სპექტაკლის სცენარის ავტორი, დამდგმელი და გამფორმებელი.

ლიტერატურული სპექტაკლები შეადგენდნენ მე-20 საუკუნის ბოლო მეოთხედში საქართველოში მიმდინარე ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს შემადგენელ ნაწილს. მათში ელავდა სიყვარული და პატივისცემა ქართული სიტყვისადმი, აზრისადმი, ისტორიისადმი.

ხალხით გაჭედილი დარბაზების სცენიდან ისმოდა დიდი ქართველი კლასიკოსების სულისშემძვრელი სიტყვა-მოწოდებები: „აგვიყოლია სიყრმიდანვე ჩვენ ქართვლის ბედმა და დაე, გვძრახონ, ჩვენ მის ძებნით დავლიოთ დღენი“; „შემომფიცეთ, რომ ყველანი უკანასკნელ სუნთქვამდის დიდ საქართველოს შესაქმნელად იბრძოლებთ“; „დავბადებულვარ, რომ ვიყო მონა და საქართველოს მედგას უღელი“ და ა.შ.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ლიტერატურული საღამოების მოსაწვევი ბარათები და აფიშები. ისინი წარმოადგენდნენ ხელოვნების ნიმუშებს, მათში ჩაღვრილი იყო ქართული სული, რომელსაც მათ ანიჭებდა მარინა ჯიქია თავისი მაღალი გემოვნებით. ეს აფიშები დღემდე ბევრი ოჯახისა და დაწესებულების კედლებს ამშვენებს.

მარინა ჯიქიასთვის უპირველესად მთავარი იყო ყველაფერი ქართული, მაგრამ მისი პატრიოტული სულისკვეთება არავის უკვირდა, რადგანაც საზოგადოებამ იცოდა, რომ ის იყო შვილი გამოჩენილი ენერგეტიკოსისა და საზოგადო მოღვაწის ვლადიმერ ჯიქიასი, რომელიც თავისი მაღალი ქართველობის გამო შეეწირა გასული საუკუნის 30-იანი წლების რეპრესიებს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მარინა ჯიქიას პედაგოგიური პროფესიონალიზმი, სანგანთან ერთად, ის სტუდენტებს საზოგადოებაში ქცევის ნორმებს ასწავლიდა, ზრდიდა და ამაღლებდა მათ სულიერად. სტუდენტების ყველა ჯგუფს, რომელსაც ასწავლიდა, სისტემატურად პატიჟებდა საქართველოს ისტორიისა და ხელოვნების მუზეუმებში, მათ საცავებში, გამოჩენილი ქართველი მოღვაწეების სახლ-მუზეუმებში. მარინა ჯიქია ყველა თაობის სტუდენტებში გასაოცარი სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა. ბევრი მათგანი სიცოცხლის ბოლომდე ინარჩუნებდა მასთან ურთიერთობასა და მეგობრობას .

მარინა ჯიქია სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე ცხოვრობდა მშვენიერების სამყაროში, ენთო და იწვოდა, უნათებდა და ულამაზებდა ცხოვრებას გარშემომყოფთ.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი მაღალი სული!

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

საქართველოს პარლამენტართა პალატა ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს 1999-2004 წ.წ. მოწვევის პარლამენტის წევრი

ლაურ მანაგაძე

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

პალატის სახელით კობა ამირხანაშვილი

თემურ ჯორბენაძე ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, აკადემიკოსი

ლაურ მანაგაძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს, მეგობრებსა და კოლეგებს.

ქართული ეკლესიის წმინდანი - ევსტათი მცხეთელი

11 აგვისტოს საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი ავტოკეფალური სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს ეროვნებით სპარსელი მოწამის ხსენებას.

ევსტათი მცხეთაში 544 წელს ჩამოვიდა და მოინათლა სამოელ ქართლის კათალიკოსის მიერ. ის გაქრისტიანებამდე გაეცნო ქრისტიანული სარწმუნოების შინაარსს და გადაწყვიტა, ქრისტიანი გამხდარიყო... მან ქრისტიანი ცოლი შეირთო.

რამდენიმე წლის მშვიდობიანი ცხოვრების შემდეგ ევსტათი მცხეთაში მცხოვრებმა სპარსელმა მაზდეანებმა მცხეთის სპარსელ ციხისთავთან დაასმინეს, რომ ევსტათიმ მამაპაპისეულ სარწმუნოებას უღალატა...

აღსანიშნავია ის, რომ მარზპანის ყოველგვარი ცდა, ევსტათი ისევ მაზდეანობაზე გადმოებირებინა, უნაყოფო გამოდგა. მისი ბრძანებით ევსტათის თავი მოჰკვეთეს დაახლოებით 550 წელს.

ევსტათის მოწამეობას მისმა თანამედროვე უცნობმა საეკლესიო მწერალმა მიუძღვნა ჰაგიოგრაფიული თხზულება „მარტვილობაი და მოთმინებაი წმიდისა ევსტათი მცხეთელისაი“, რომელშიც კარგად არის აღწერილი მეექვსე საუკუნის ქართლის სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული ცხოვრება.

გიული ლიპარტია

დიდი მსახიობის პატივგება

ძალაძ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებით, თბილისში, ისნის რაიონში, წერნაქის ქუჩის მონაკვეთს ცნობილი მსახიობის ლეილა აბაშიძის სახელი მიენიჭა.

საქართველოდან წელს 41 უცხოელი გააძევეს

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით, მიმდინარე წლის იანვარ-ივნისში საქართველოდან უცხო ქვეყნის 41 მოქალაქე გააძევეს. ინფორმაცია უწყების ოფიციალურ ვებგვერდზეა ხელმისაწვდომი.

საქართველოდან სულ 18 ქვეყნის მოქალაქე გააძევეს. ქვეყნების მიხედვით სია ასეთია: აზერბაიჯანი — რვა მოქალაქე; ირანი — ექვსი; ეგვიპტე — ხუთი; თურქეთი — ოთხი; ანგოლა, ინდოეთი, ერაყი და ნიგერია — ორ-ორი; კანადა, კენია, უზბეკეთი, უკრაინა, ბანგლადეში, კონგო, მაროკო, ნეპალი, პაკისტანი და ჰაიტი — თითო. 2018 წელს ქვეყნიდან 98 უცხოელი გააძევეს, 2017 წელს კი — 77. შსს-ს მონაცემებით, ყველაზე ხშირად საქართველოდან 26-40 წლის მამაკაცებს აძევებენ.





აეროპორტში 60 კგ ოქრო იპოვეს

კამერუნის, დუალას საერთაშორისო აეროპორტში, კონტრაბანდული 60 კგ ოქრო აღმოაჩინეს, რომლის ღირებულებაც 2.8 მლნ დოლარია. უცხოური მედიის ინფორმაციით, ოქრო პლედში იყო ჩამალული, რომელიც ავიაკომპანია EthiopianAirlines-ის ერთ-ერთ მგზავრს ეკუთვნოდა.

კამერუნის სამართალდამცავი ორგანოების ინფორმაციით, ოქრო ჩინეთში ან დუბაიში გასაგზავნად იყო გამზადებული.

აბასთუმანი უნდა გახდეს ერთ-ერთი საუკეთესო ცენტრი მსოფლიოში

— ამის შესახებ პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ ბიძინა ივანიშვილმა აბასთუმანში განაცხადა.

ბიძინა ივანიშვილი აბასთუმანში წმინდა ალექსანდრე ნეველის სახელობის ტაძარში წირვას დაესწრო და მრევლს წმინდა პანტელეიმონის ხსენების დღე მიულოცა.

დიდმოწამე პანტელეიმონის ხსენების დღესთან დაკავშირებით წირვა ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის მიტროპოლიტმა თეოდორემ აღავლინა და მრევლს სიტყვით მიმართა.

„ბატონი ბიძინას დამსახურებაა ეს და მისი პირადი შეწევნა, რომ აწყურის ტაძარი შენდება. თქვენ იცით, რამხელა მადლია აწყურის ტაძარში. ეს არის პირველი კათედრა საქართველოში. ეს არის ანდრია პირველწოდებულის მიერ დაარსებული კათედრალი. ბატონი ბიძინას დახმარებით კეთდება ბიეთის სამონასტრო კომპლექსი, კეთდება აგარების სამონასტრო კომპლექსი, თისელის სამონასტრო კომპლექსი.

ძალიან ბევრი რამ კეთდება მარტო ჩვენს ეპარქიაში, იქეთ აღარ ჩამოვთვლი. აბასთუმანში კეთდება კიდევ ძალიან ბევრი რამ. დაიწყო დედათა მონასტრის დამწვარი სახლისა და ძალიან ბევრი შენობის რესტავრაცია. მე დარწმუნებული ვარ, რომ აბასთუმანი გადაიქცევა მსოფლიოში ერთ-ერთ მნიშვნელოვან ცენტრად და მნიშვნელოვან კურორტად და თითოეული ჩვენგანისთვის, არა მარტო აქ მცხოვრებისთვის, არამედ მთელი საქართველოსთვის ეს იქნება ძალიან განსაკუთრებული ადგილი“, — განაცხადა მეუფე თეოდორემ.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

ა. ჩიქობავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქოგულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323

ISSN 2233-3851

9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

12 აგვისტოს დიდგორობის დღესასწაული აღინიშნება

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში დიდგორის ველზე 12 აგვისტოს, დიდგორობის სახალხო დღესასწაული აღინიშნება. ღონისძიების ორგანიზატორების ინფორმაციით, დიდგორის მემორიალის ტერიტორია დამთვალიერებლის წინაშე წარდგება როგორც მუზეუმი ღია ცის ქვეშ. სპეციალურ სივრცეებში მოეწყობა ქართული რეწვის და ხელოვნების ნიმუშების გამოფენა-გაყიდვა, წარმოჩინდება ტრადიციული სამოსი, ორნამენტები, კულინარია.

დღესასწაულის ფორმირება მოხდება დროსთან მიმართებაში. სცენაზე გაცოცხლდება აღმაშენებლის ეპოქა და თანამედროვე ეპოქასთან მისი შერწყმა მოხდება როგორც შემორჩენილი ტრადიციების გათამაშებით, ასევე უკვე მივიწყებული კულტურული მემკვიდრეობის აღდგენით. გაიმართება საბრძოლო ხელოვნების ნიმუშის წარმოდგენა, ასევე, საჭიდაო საჩვენებელი შეჯიბრებები: დოღი, ჭიდაობა, მკლავჭიდი.

საკონცერტო ღონისძიებაში მონაწილეობას მიიღებენ: ქართული ესტრადის ცნობილი მომღერლები, ასევე წარმოდგენილნი იქნებიან როგორც ადგილობრივი, ასევე საქართველოს სხვადასხვა კუთხის სახელმწიფო და სახალხო ფოლკლორული ანსამბლები. დიდგორის ბრძოლას ქართველთა მრავალსაუკუნოვან ისტორიაში, გამორჩეული ადგილი უკავია. მეფე დავით აღმაშენებლის გონივრული სამხედრო სტრატეგიის წყალობით, დიდგორი დამოუკიდებლობისათვის და თავისუფლებისათვის ბრძოლის, ერთიანობის და ქვეყნისათვის თავდადების სიმბოლოდ იქცა. 1121 წელს დიდგორის ბრძოლის გამარჯვებამ დასაბამი მისცა ქვეყნის საბოლოო განთავისუფლება-გაერთიანებას და საქართველომ საბოლოოდ დაიმკვიდრა რეგიონის უძლიერესი სახელმწიფოს სახელი.

მოგმართავთ გაზეთის მზრუნველთა საბჭოს სახელით

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 100 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

გვჯერა, რედაქციის მიმართვას გამოეხმაურებიან ჩვენი ბიზნესმენ-ქველმოქმედნიც და გარკვეულ ფინანსურ დახმარებას გაუწევენ გაზეთს.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

ეკლესიაში სასრიალო ატრაქციონი მოაწყვეს

დიდ ბრიტანეთში, ნორვიჩის ეკლესიაში გასართობი სასრიალო ატრაქციონი მოაწყვეს. სასრიალო მოედანი 16,7 მეტრის სიმაღლის კონსტრუქციაა, რომლის ასაშენებლად 4 ადამიანი 2 დღე მუშაობდა. ნორვიჩის ეკლესიის მღვდელმთავრის განცხადებით, „ნაგებობა — არაფერს შეურაცხყოფს“.

ეკლესიის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ 16-მეტრიანი სასრიალო ნაგებობა ნორვიჩის სტუმრებს განსხვავებული თვალით დაანახებს შენობის სილამაზეს და დააფიქრებთ მათ ცხოვრების არსზე. ატრაქციონის დახმარებით ადამიანებს შესაძლებლობა აქვთ ახლოდან იხილონ ნაგებობის სახურავზე არსებული მინიატიურული ქანდაკებები. დღემდე მიიჩნევა, რომ ამ ტაძარში გოთიკური მინიატიურების ყველაზე დიდი რაოდენობაა. ნორვიჩის ეკლესიაში სასრიალო მოედანი 18 აგვისტომდე მიიღებს ვიზიტორებს. ნორვიჩის ეკლესიის მშენებლობა მე-11 საუკუნეში დაიწყო. ეკლესია დიდ ბრიტანეთში სიმაღლით მეორე ნაგებობაა.

სიძველი-სადმი გრძნობა, პატივი...

რომში „ესპანურ კიბეზე“ დაჯდომა, ჭამა და დალევა აიკრძალა. შეზღუდვის დარღვევის შემთხვევაში ჯარიმა 400 ევროა. მსგავსი კანონი მოქმედებს რომის სხვა ღირსშესანიშნაობებზე, მაგალითად, ტრევის ფანტანზე.

„ესპანური კიბეები“ არქიტექტორმა, ფრანჩესკო დე სანქტისომ 1723-დან 1726 წლამდე დროის პერიოდში ააგო. კიბეები განსაკუთრებით პოპულარული ფილმ „რომაული არდადეგების“ ეკრანზე გამოჩენის შემდეგ გახდა.

აეროპორტ „სტამბოლში“ სამი რობოტი დაასაქმეს

აეროპორტ „სტამბოლში“ სამი რობოტი დაასაქმეს. ამ დროისათვის, სტამბოლის ახალ აეროპორტში 2 რობოტი სატესტო რეჟიმში მუშაობს. ისინი კონსულტაციას გაუწევენ მგზავრებს და შეძლებისდაგვარად დაეხმარებიან. რობოტები ამ დროისათვის მხოლოდ ორ — თურქულ და ინგლისურ ენაზე საუბრობენ.



აღსანიშნავია ისიც, რომ რობოტები მთლიანად თურქეთშია წარმოებული. რობოტები სრული დატვირთვით აგვისტოს ბოლოდან ამოქმედდებიან.

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.9488; ევრო - 3.3038;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.5840;
100 რუბლი - 4.5182; თურქული ლირა - 0.5349;
აზერბაიჯანული მანათი - 1.7363;
1000 სომხური დრამი - 6.1891.

ამინდი 10 აგვისტოსთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+17,	დღე	+34
მთიანი რაიონები -	ღამე	+11,	დღე	+31
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+18,	დღე	+30
მთიანი რაიონები -	ღამე	+13,	დღე	+29
თბილისი:	ღამე	+20,	დღე	+33

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, რასაც აქ წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!